

კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწეობის  
რეგიონული ცენტრი.

საქართველოს კონსტიტუცია  
სა  
2010 წლის კონსტიტუციური  
რეფერენდუმი

კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწეობის  
რეგიონული ცენტრი  
გამოცემა №1

თბილისი  
2010

## საერჩევი

კრებული მოშზადებულია კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და  
ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის თანამშრომლების და მის  
მიერ შერჩეული აუტორების მიერ

### კრებულის აუტორებია:

გასილ გონაშვილი - § 4

აუთანდილ დემეტრაშვილი - § 1, § 2, § 8, § 10

გიორგი კვერუნჩხილაძე - § 6, § 7

ვახტანგ ჟვანია - § 3, § 5, § 9

თბილისი 2010

წილი 1 (აუთანდილ დემეტრაშვილი).....	4
§ 1. საქართველოს კონსტიტუციური ისტორიის მიმოხილვა (აუთანდილ დემეტრაშვილი).....	6
§ 2. საქართველოს კონსტიტუცია და მისი 2010 წლის გადასინჯვის ფარგლები და კონცეპტუალური საფუძველი (აუთანდილ დემეტრაშვილი).....	14
§ 3. კონსტიტუციური რეფორმა - აუცილებლობა, განხორციელების ეტაპები (ვახტანგ ჟვანია).....	17
§ 4. საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი (საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თვითსუფლებანი) და საარჩევნო სამართალი 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის მიხედვით (ვახტანგ ჟვანია).....	23
§ 5. კონსტიტუციური რეფორმა: საქართველოს პარლამენტი (ვახტანგ ჟვანია).....	39
§ 6. საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტი და 2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა (გიორგი კვერუნჩხილაძე) .....	43
§ 7. საქართველოს მთავრობის ინსტიტუტი და 2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა (გიორგი კვერუნჩხილაძე) .....	53
§ 8. სასამართლო ხელისფულება და 2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა (აუთანდილ დემეტრაშვილი) .....	63
§ 9. ადგილობრივი თვითმმართველობის აზრებური გააზრება 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის მიხედვით (ვახტანგ ჟვანია).....	67
§ 10. საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის ახალი წესი 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის მიხედვით (აუთანდილ დემეტრაშვილი) .....	70

## ნ ი ნ ა თ ქ მ ა

XXI საუკუნის პირველი ათწლეული გამორჩეული პერიოდია საქართველოს კონსტიტუციური ისტორიაში. სულ რაღაც ექვსწლიანი ინტერვალით ქვეყნაში ორი ფართომასტაბიანი კონსტიტუციური რეფორმა განხორციელდა. 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონის საფუძველზე შეიცვალა 1995 წლის კონსტიტუციის ის ნაწილი, რომელიც ე.წ. ამერიკულ საპრეზიდენტო მმართველობის სახელით არის ცნობილი და ჩამოყალიბდა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა საფრანგეთის მქონე რესპუბლიკის ე.წ. ნახევრადაპრეზიდენტოს მიმსგავსებული სისტემა.

2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით განხორციელდა მოქმედი მმართველობის ფორმის ახლებურად გააზრება და კონსტიტუციის ნორმებში ასახვა. ვინაიდან ვრცელი ინფორმაცია განხორციელებული რეფორმის თაობაზე კრებულის მომდგრად ნაწილებში იქნება მოწიდებული, წინათქმაში შემოვიყარგლებით რეფორმის შედეგის ზოგადი შეფასებით და იმ მნიშვნელობით, რომელიც მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებებისათვის ამ პროდუქტს გააჩნია.

დაკავშირდნობით ვენეციის კომისიის მოსაზრებათა იმ ფრაგმენტს, რომლის მიხედვით რეფორმა წარმოადგენს არსებული ძირითადი კანონის გაუმჯობესებას და არის წინგადადგმული ნაბიჯი ევროპული კონსტიტუციონალიზმისაკენ.

რაც შექება პოლიტიკური პარტიებისათვის რეფორმის შედეგების მნიშვნელობას, ვიტყვით მხოლოდ მთავარს — 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის რეალურად ამოქმედება თავისთავში გამორიცხავს რომელიმე განშტოების მიერ სახელმწიფო ძალაუფლების მიტაცებას და მის ბოროტად გამოუქნებას და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია — სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი განმსაზღვრული სუბიექტი კვლავ საქართველოს პარლამენტი რჩება, ხოლო ამ პოლიტიკის აღსრულების მთავარი

სუბიექტი ხდება საქართველოს მთავრობა, ანუ ის ორგანოები, რომელთაც ხალხი ირჩევს (პირდაპირ - პარლამენტს, ირიბად მთავრობას) და რომლებიც ხალხის მიერ მათთვის გადაცემული მანდატის ფარგლებში უნდა მოღვაწეობდნენ. ტრენინგის თემას რომ არ გავცდეთ დავასკვნით, რომ სწორედ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები იქნებიან მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ის სუბიექტები, ვინც ხალხის ნდობა, შესაბამისად პარლამენტის უმრავლესობა, შედგად კი მთავრობის ფორმირების შესაძლებლობა ექნებათ.

## § 1. საქართველოს კონსტიტუციური ისტორიის მიმოხილვა

ჩვეულებრივ კონსტიტუციურ ისტორიას კონსტიტუციის არსებობას უკავშირებენ, თუმცა ამ ისტორიის სათავეებზეც ამახვილებენ ყურადღებას. წარმოუდგენელია აშშ-ის კონსტიტუციური ისტორია 1776 წლის დამოუკიდებლობის აქტის, „კონფედერაციის მუხლების“, საფრანგეთის კონსტიტუციური ისტორია — 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის გარეშე და ა.შ. გარდა ნორმატიულისა, კონსტიტუციური ისტორიის სათავეებში არცუ იშვიათად დოქტრინიალურ წყაროებსაც (ვთქვათ შარლ მონტესკიეს „კანონთა გონს“) მოიხსენიებენ.

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაშიც მრავლად არის სამართლის ძეგლი, რომელიც თავისი შინაარსით შეიძლება მიჩნეული იყოს საქართველოს კონსტიტუციური ისტორიის სათავეებად, უფრო ფრთხილი შეფასებით კი — კონსტიტუციური სამართლის წყაროდ. შეიძლება სადაც იყოს პროფ. გახტანგ აბაშმაძის ქვემოთ მოყვანილი შემდგენ მოსაზრება, მაგრამ მაინც უნდა მოვიყვანოთ იგი: „ქართული რენესანსის კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება, რომელიც უკვე მეთორმეტე საუკუნეში ანტიფეოდალური ძალების მიერ გამოიყენება, როგორც სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის მიზნით დაწყებული დიდი მოძრაობის დღეოლოგიური იარაღი“<sup>1</sup>.

ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ „სამართლის წიგნი“ (ბაგრატ კურაპალატის კანონები), გახტანგ VI „დასტურლამალი“, იმავე პერიოდის კოდიფიცირებული აქტი, რომელიც შედიოდა მოშეს კანონები, კათალიკოსის სამართლი, გორგი ბრწყინვალისა და ბექა აღბუძას „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა და ყოფლასაც“ და გახტანგ VI კანონები<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. გახტანგ აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები. ქართული და სამართლებრივი მოძღვრებები. თბ., 1992, გვ. 457

<sup>2</sup> კრცლად ამის შესახებ ის. ისილორე დოლიძე. სამართლი გახტანგ მექქისისა. თბ., 1981, გვ. 5-42.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანას XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში არც სამართლის ეროვნული სისტემა და შესაბამისად არც საკუთარი კონსტიტუციური სამართლის მეცნიერება არ გააჩნდა, ჩვენთან მოღვწეობდა დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკის მოწინავე აზრის ნაზიარები ქართველ მოზროვნეთა შესანიშნავი პლეადა, რომლებმაც მნიშვნელოვანი მეცნიერები საფუძველი შექმნეს შემდგომი კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართლის სახელმწიფოებრივი და მეცნიერები დონის განვითარებაში. ესენი არიან სოლომონ დოდაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ილია ჭავჭავაძე, მიხაკო წერეთელი, არჩილ ჯორჯაძე და სხვები.

ისეთ საკითხებში, როგორიცაა, სახელმწიფო მმართველობის ფორმები, ხელისუფლების დანაწილება, სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაცია, ადგილობრივი თვითმმართველობა და სხვა, ნიკო ნიკოლაძის მოსაზრებანი, მაგალითად, არსებითად არ განსხვავდება კონსტიტუციონალიზმის თეორიაში დღეს აღიარებული ცნებებისა და კატეგორიებისაგან. შესანიშნავად აქვს შესწავლილი ილია ჭავჭავაძეს ხელისუფლების კლასიკური სამწვეროვანი დანაწილება, რომელსაც ის წარსელის აბსტრაქციას, თავისი დროის იდეალად, ხოლო მომავლისათვის პროგრამად მიიჩნევს. თამაბად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ხსენებულ მოაზრონეთა, აგრეთვე მოგვანებით ნოე ფორდანიას, პავლე საყვარელიძის, გიორგი გვაზავას და სხვათა მოსაზრებებმა განაპირობა საქართველოს პირველი რესპუბლიკის დღემდე აღიარებული მიშნიდველი კონსტიტუციური სახე.

საქართველოს კონსტიტუციური ისტორიის სათავეებში მნიშვნელოვანია საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამუშანებელი აქტი — 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ზოგიერთი მეცნიერის აზრით - დამოუკიდებლობის აქტი 1921 წლის 21 ოქტომბერის კონსტიტუციის ნაწილია. იხ. მაგ. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921 წ.)“ თბ., 1991.

დამოუკიდებლობის აქტის მნიშვნელობა მისი დამფუძნებელი ბუნებიდან გამომდინარეობს, მასში ლაკონურად განსაზღვრულია საზოგადოებასა და სახელმწიფოს მოწყობის ძირითადი პრინციპები (სახელმწიფოს მარტივი ტერიტორიული მოწყობა, მართვა-გამეობის რესუბლიკური ფორმა და დემოკრატია, როგორც მმართველობის მეთოდი) და ადამიანზე სახელმწიფოს ზრუნვის ვალდებულება.

საქართველოს კონსტიტუციური ისტორიაში ძალიან მაღალია 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის ოლობი, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კონსტიტუცია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასში განმტკიცებული ნორმებითადამიანი წარმოჩენილიაროგორც უმაღლესი სოციალური დირექტულება, არამედ იმიტომაც, რომ იგი დღესაც ასრულებს ჩვენი კონსტიტუციური ისტორიის ერთგვარ დამაკავშირებელ ფუნქციას, ვინაიდან ცოველი შემდგომი (საბჭოურის გარდა) კონსტიტუცია და კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტი ყრდნობა მას ან მის ისტორიულ-სამართლებრივ მექანიზმებისას.

მიუხედავად იმისა, რომ 1921 წლის კონსტიტუციით დადგენილი სახელმწიფოს ცენტრალურ თრგანოთა ორიგინალური სისტემა (სახელმწიფო სახელმწიფოს მეთაურის გარეშე) ზოგიერთ მეცნიერს<sup>1</sup>, მათ შორის ამ სტატიის ავტორსაც არაეფექტურად მოწყობილად მიაჩნია, როგორც ქვეყნის შემდგომი განვითარება ცხადოფს, საზოგადოებაში მის მიმართ ნდობის მაღალი ხარისხი არსებობს.

თითქმის 70 წელს მოიცავს საქართველოს ისტორიაში საბჭოური კონსტიტუციების (1922, 1927, 1937 და 1978 წ.) ხანა. მოცემული სტატიის ფარგლებში შეუძლებელია მათი დეტალური ანალიზი, რის გამო რამოდენიმე მოსაზრებით შემოვიტარებულია. ჯერ ერთი, და ალბათ ეს არის უმთავრესი — არც ერთი მათგანი არ ყოფილა ქართველი ხალხის ან მისი რომელიმე ორგანოს

<sup>1</sup> იხ. პატაცნობილაძე. საქართველოს კონსტიტუციური სამართლი, ტომი 1, თბ. 2004 გვ. 128.

სამართალშემოქმედების პროდუქტი. საქართველოში კონსტიტუციის მიღება ავტომატურად მოჰყევებოდა „ცენტრში“, მოსკოვში, კომუნისტური პარტიის დირექტორების საფუძველზე მიღებულ სსრ კავშირის ან რუსეთის კონსტიტუციის მიღებას. საქართველოს დამოუკიდებლობა ამ შემთხვევაში შემოიტარებულია ტოპონიმებისა და ოფიციალური სახელწოდებების შეცვლით („მოსკოვის“ - თბილისით, საბჭოთა

კუშშირის უზენაესი საბჭოსი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოთი) და რუსულიდან ქართულ და აფხაზურ ენებზე სსრ კავშირის კონსტიტუციის ოფიციალური ტექსტის თარგმნით.

და კიდევ ერთი სტერეოტიპის შესახებ. მსმენია თითქოს ე.წ. „სტალინური“ 1936 კონსტიტუცია თავისი შინაარსით მაღალი დემოკრატიულობით გამოირჩეოდა. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ეს და 1978 წლის კონსტიტუცია გარკვეულ პოზიტიურ როლს ასრულებდნენ (საზოგადოებრივ ცხოვრებაში იურიდიული მართლწერიგის ელემენტების შეტანა, განსაზღვრული ხარისხის პოლიტიკური სტაბილურობის ხელშეწყობა), მაგრამ რეალურად საბჭოური კონსტიტუციები უბრალო შირმის როლს ასრულებდნენ, რომლის იქით რეალურად ბატონობდა კომუნისტური პარტიის მოსკოვური ხელმძღვანელობა.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ საქართველოში 1990 წ. 28 თქმობერს ჩატარდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნები. არჩევნების გამორჩეულობა ის იყო, რომ, ჯერ ერთი, საბჭოთა საქართველოს ისტორიაში ეს იყო პირველი მრავალპარტიული არჩევნები, და მეორე, რაც მთავარია, მასში დამაჯერებელი გამარჯვება ერთვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „მრგვალი მაგიდათავისუფალი საქართველო“-მ მოიპოვა.

ახალმა ხელისუფლებამ ჯერ მნიშვნელოვანი ცელილებები შეიტანა მოქმედ 1978 წლის კონსტიტუციაში, შემდევ ჩატარა რეფერენდუმი და ამ რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინებით მიიღო „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის

აღდგენის აქტშ. სამწუხაროდ, ახალმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო თანამდროვე საზოგადოების შესაბამისი კონსტიტუციური გარემოს შექმნა. ახალი კონსტიტუციის შემუშავებისათვის შექმნილი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია ვერ ამოქმედდა, ვერ მოხერხდა 1978 წლის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების იმპლემენტაცია მიმდინარე კანონმდებლობაში.

1991 წლის ბოლოს არაკონსტიტუციური გზით ხდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის უფლებამოსილებათა ვადამდე აღრე ფაქტობრივი შეწყვეტა, იქმნება სამხედრო საბჭო და დროებითი მთავრობა, რომელიც ძალადაკარგულად აცხადებს ზეიადისძრიონდელ გადასინჯულ 1978 წლის კონსტიტუციას და კანონმდებლობას და 1992 წლის 21 თებერვალს იღებს დეკლარაციას საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის აღდგენის თაობაზე. აღდგენილ კონსტიტუციას იგივე ბედი წარია, რაც 1921 წელს - აღდგენილ 3 დღის შემდეგ იგივე სამხედრო საბჭო თავისი გადაწყვეტილებით, რომელიც აღდგენდა 1921 წ. კონსტიტუციის ამოქმედებას რეალობის გათვალისწინებით, ფაქტობრივად „გაფინა“ აღდგენის იდეა.

1992 წლის 6 ნოემბრს მიღებულ იქნა კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“. იმ დროისათვის ეს კანონი აღმოჩნდა ერთად-ერთ აქტად, რომელსაც რეალურად კონსტიტუციის გარეშე დარჩენილ ქვეყანაში შევძლო ძირითადი კანონის მაგივრობა გაქრია, ამიტომ უწოდებენ მას ხატოვნად „მცირე კონსტიტუციას“. კანონმა ზღვარი დაუდო საბჭოურ კონსტიტუციურ სისტემებს, საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოებრივი მეთოდებით ორგანიზაციას. ამასთან ჰქომარითი კონსტიტუციის ფუნქცია მას არ შეუსრულება, რადგან მასში არსებითად არაფერი იყო ნათქვამი კლასიკური კონსტიტუციის ორგანულ ისეთ ნაწილებზე, როგორიცაა ძირითადი უფლებები და სასამართლო ხელისუფლება.

ამ კანონის მიხედვით საყოველთა სახალხო არჩევნებში პირდაპირი წესით ცალკე პარლამენტი, ცალკე პარლამენტის თავმჯდომარე აირჩეოდა, რის შემდეგ პარლამენტი თავის თავმჯდომარეს აგრძელებს სახელმწიფოს მეთაურად ირჩევდა. თუ გავითვალისწინებთ

იმას, რომ მთავრობას სახელმწიფოს მეთაურის — პარლამენტის თავმჯდომარის წინადადებით პარლამენტი ამტკიცებდა, სახელმწიფოს უმაღლეს თოვანოთა კანონისეული ამგვარი სისტემა ვერანაირ დემოკრატიულ კრიტიკას ვერ უძლებს.

1993 წლისათვის კონსტიტუციურ-სამართლებრივ სიურცეში საკმაოდ თავისებური სიტუაცია შეიქმნა. 1921 წლის აღდგენილი კონსტიტუცია, მისი შინაარსისა და აღდგენის დაბალი ღვევიტომურობის გამი არ ამუშავდა, კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ურთიერთობათა მხოლოდ ნაწილს არუცულირებდა, ხოლო 1978 წლის გაუქმებული კონსტიტუცია ზოგიერთ თავის ნაწილში კვლევ სიცოცხლისუნარიანი იყო. ქვეყნას უფრო მაღალი ღვევიტომურობის ძირითადი კანონი სჭირდებოდა. ამისათვის კერ კიდევ 1993 წელს შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც შეიძუშავა და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს წარუდგინა კონსტიტუციის პროექტი. ამ პროექტის საფუძვლზე 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუცია დღესაც მოქმედებს. მისი მიღება თამამად შეიძლება დაუკავშიროთ პროფესორ ანდრაშ შაიოს „შიშის კონსტიტუციონალიზმად“ წოდებულ<sup>1</sup> იმპერატივს. 1995 წელს კონსტიტუციის მიღების იმპერატივი იყო იმის შიში, რომ წინამორბედი პერიოდისათვის დამახასიათებელი არაუფექტიანი, ღვევიტომურობას მოკლებული სახელმწიფოსა და არასამთავრობო ინსტიტუტების შენარჩუნება, სახელმწიფო ხელისუფლების დაშორება მოსახლეობისაგან, ნებატიურად იმოქმედებენ ქვეყნის შემდგომ წინსკლაზე და, რაც არანაკლად მნიშვნელოვანია — მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეულად ინტერირების სურვილის განხორციელებაზე.

იმ დროიდან დღემდე კონსტიტუციაში გარკვეული, ზოგიერთ ნაწილში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, თუმცა პრაქტიკულად ხელშეუხებელი დარჩა კონსტიტუციის პირველი თავი (ზოგადი დებულებები), სადაც დეკლარირებულია თანამედროვე

<sup>1</sup> იხ. ანდრაშ შაიო. ხელისუფლების თვითშეზღუდვა. კონსტიტუციონალიზმის შესავალი. თბილისი., 2003, გ.viii

კონსტიტუციონალიზმის ისეთი პრინციპები როგორიცაა დემოკრატია და რესპუბლიკანიზმი („საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წეობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“ — მუხლი 1), სახალხო სუვერენიტეტი („საქართველოში სახელმწიფო ძალაუფლების წყარო ხალხი. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენციულის, უშაულო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით“ — მუხლი 5), ხელისუფლების დანაწილება („სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“ — მუხლი 5), სახელმწიფო შეზღუდულია უფლებებით და თავისუფლებებით — მუხლი 7), რწმენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლება (მუხლი 9).

თთქმის არ შეცვლილა კონსტიტუციის მეორე თავი (საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი), რომელიც საერთაშორისო სტანდარტების, უწინარესად კი 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის საფუძვლებზეა დაწერილი.

უმნიშვნელოდ — როლის ზრდის მიმართულებით შეიცვალა კონსტიტუციური რეგულაციები, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ქვება.

მრავალრიცხოვან სწავლულთა და ექსპერტთა აზრით ზემოთ მოყვანილი და კონსტიტუციის ზოგიერთი სხვა დებულების სტაბილობა განპირობებულია იმით, რომ აქ აღიარებულია ისეთი ფასეულობები, როგორიცაა თავისუფლება, დემოკრატია, სამართლის უზენაესობა, რომელსაც დღევანდელი ევროპა უწრდნობა და რომელსაც იზიარებს ქართული საზოგადოება.

თუ ზემოთ მითითებულმა ნაწილმა, რომელიც ძირითადი კანონის კონცეპტუალურ საფუძველს შეადგენს, არსებითი ცვლილებები არ განიცადა, მნიშვნელოვნად იცვლებოდა კონსტიტუციის ტექსტის ის ნაწილი, რომელიც სახელმწიფო ინსტიტუტებს, მათ შორის სესტემურ ურთიერთობებს, ანუ საქართველოში მიღებული ტერმინოლოგით — მმართველობის ფორმას ქვება. პირვანდელი ტექსტის მიღების მიზეზებზე და განხრახვებზე ზემოთ უკვე

გვქონდა საუბარი, აქ შევეხოთ კონსტიტუციის შემდგომ პერიოდში განხორციელებულ გადასინჯვებს.

1995 წლის პირვანდელი ტექსტის ფართომასშტაბიანი რეფორმა განხორციელდა 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონის საფუძველზე. კონსტიტუციური კანონის ავტორთა აზრით კონსტიტუციის ახალ რედაქციას უნდა უზრუნველყო სისტემური კორუფციით დაგადებული სახელმწიფოს გამოჯამრთულება, რომელსაც თავის მხრივ უნდა ჩაეტარებინა გადაუდებელი, საზოგადოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის რეფორმები ეკონომიკის, პოლიტიკის, განათლების და სხვა სფეროში. ამ მიზნების მისაღწვევად კი, ამტკიცებდნენ ისინი, — სასურველი და გარდაუვალია სახელმწიფო ძალაუფლების კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია.

უნდა ვაღიაროთ, რომ დასახელებულ რეფორმათა ნაწილი წარმატებით დასრულდა, დანარჩენის განხორციელება მიმდინარეობს, მაგრამ 2004 წლის რეფორმის განხორციელებამ სხვა პრობლემები წარმოაჩინა. ქვეყნის დინამიკური განვითარებისა და ტრანზიციის კანონზომიერებანი, ქვეყნის წინაშე ახლად გაჩერილი შიდა (ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული საკმაოდ მწვავე და მასობრივი საპროტესტო აქციები მმართველობითი სისტემის შეცვლის მოთხოვნით) და გარე გამოწვევები, საერთაშორისო ორგანიზაციები (უწინარესად ვროპის საბჭო და მისი საკონსულტაციო ორგანო „დემოკრატია სამართლის მეშვეობით“, რომელიც უფრო მეტად ვნეციის კომისიის სახელით არის ცნობილი) ითხოვდნენ ზოგადად სახელმწიფოებრივი ცხოვრების, საკუთრივ კი მმართველობის ფორმისა და მეთოდების შემდგომ დემოკრატიზაციას. ამ და ზოგიერთ სხვა იმპერატივის საპასუხოდ 2009-2010 წელს საქართველოში მორიგი კონსტიტუციური რეფორმა განხორციელდა, რომლის შედეგად კონსტიტუციაში ახალი რედაქციით უნდა ჩამოყალიბდეს პრეამბულა და 35 მუხლი, დაემატოს 7 ახალი მუხლი, ანუ გადასინჯვა შექმნით კანონის ტექსტის ორმოც პროცენტამდე, რაც გვაძლევს უფლებას (თუნდაც მეცნიერულ დონეზე) ტექსტის სრულად ამოქმედების შემდეგ მას 1995 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქცია უწოდოთ.

§ 2. საქართველოს კონსტიტუციის და მისი 2010 წლის  
გადასინჯვის ზარგლუბი და კონცეპტუალური საფუძვლი

ნებისმიერი რეფორმა, მეტადრუ კონსტიტუციის, როგორც  
მრავალუნქციური პრეისტიკურ-იურიდიული ნიტარმოების გადა-  
სინჯვა, ჯერ მისი (ამ რეფორმის) ფარგლებითა და ამ ფარგლებში  
რეფორმის კონცეციის, ანუ თუ გნებავთ ფილოსოფიური საფუძ-  
ვლების დადგენით იწყება.

მიუხედავად სხვაგვარი მოთხოვნების არსებობისა საკონსტი-  
ტუციო კომისიამ და შემდეგ ხელისუფლებამაც უარი იქვეს ახალი  
კონსტიტუციის შემუშავება-მიღებაზე და შეთანხმდნენ კონსტი-  
ტუციის ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ. გადაწყდა, რომ ამ  
ეტაპზე გადასინჯვა უნდა შექმოს მხოლოდ კონსტიტუციის ტექ-  
სტის მოვლენებზე კველაზე მეტად მგრძნობიარე და საქართვე-  
ლოს განვითარების ამ ეტაპზე მტკიცნეულ სახელისუფლებო  
ნაწილს — თავი მესამე. საქართველოს პარლამენტი; თავი მეოთხე-  
საქართველოს პრეზიდენტი: თავი მეოთხე პრიმი. საქართველოს  
მთავრობა. ამ განზრახვის მიუხედავად მუშაობის პროცესში,  
კონსტიტუციის შიდასისტემურმა აგებულებამ მოითხოვა მასში  
კორექტოვების შეტანა. გარდა ხსენებული მე-3, მე-4 და მე-41  
თავებისა, ბოლო კერძაში ახლებურად არის ჩამოყალიბებული  
პრეზიდენტი, მეორე თავის რამდენიმე მუხლი (სახელმწიფო საქ-  
მიანობაში ბიპატრიდების ჩართულობა, საკუთრების უფლების და-  
ცულობა, მიმოსვლის თავისუფლება, ფიზიკური კულტურისა და  
სპორტის განვითარების სახელმწიფო ხელშეწყობა) შემოღებულ  
იქნა მოსამართლეთა უკადოდ გამწესების ინსტიტუტი, გაიზარდა  
(იუსტიციის უმაღლესი საქონა და ადგილობრივი თვითმმარ-  
თველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკუბულოს, ხარჯზე)  
საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტთა წრე.

ვხელმძღვანელობდით რა ხელისუფლების დეცენტრალიზა-  
ციის, ზემოდან ქვემოთ გადანაწილების სურვილით, სამუშაო  
ჯგუფის დონეზე მოვაზადეთ საქართველოს ტერიტორიული

მოწყობის ამსახველი ნაწილი. რადგანაც ვერც გოშისიაში და  
ვერც საზოგადოებაში მასში ჩადებულმა იდეამ — საქართველო  
გახდეს რეგიონალიზმის პრინციპზე დაყრდნობით შექმნილი სა-  
ხელმწიფო, რომელშიც რამოდენიმე ტერიტორიულ ერთეულს  
(აჭარა, აფხაზეთი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი,  
ქალაქი თბილისი) განსაკუთრებული სტატუსი ექნება, სარედაქ-  
ციონ საბჭოს დონეზე უარი ითქვა ტერიტორიულ მოწყობის არსებით  
კონსტიტუციურ რეგულაციებზე და ძირითადი კურადღება, რო-  
გორც დეცენტრალიზაციის ერთგვარ უორმალ მიჩნეულ იქნა  
ადგილობრივი თვითმმართველობის ვრცელი კონსტიტუციური რე-  
გულირების საჭიროება. სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი საფუძვლი  
იმისა, რომ კონსტიტუციის ტექსტში გაჩნდა ახალი — მეშვიდე  
პრიმი თავი — „ადგილობრივი თვითმმართველობა.“

თუ გადასინჯვის ფარგლების დადგენაზე კომისიის უმრავლე-  
სობა მოკლე დროში შეთანხმდა, არცო ადვილი აღმოჩნდა გადა-  
სინჯვის ძირითადი კონცეპტუალური საფუძვლის განსაზღვრა.

1995 წლიდან მოყოლებულ კონსტიტუციურ და მათთან და-  
კაშმირუბულ მოვლენებზე დაკაირვება ცხადყოფს ხალხის (ამომ-  
რჩვლების), როგორც ხელისუფლების წყაროს როლის შემცირე-  
ბასა და სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოთა შორის სისტემურ  
ურთიერთობათა დარღვევას, მათ შორის დისბალანსის არსებობას.  
ამიტომ მოულოდნელი არ იყო, რომ კომისიის თითქმის ყველა წერი  
თანხმდებოდა იმაზე, რომ რეფორმის დედა აზრი, დომინანტური,  
კონცეპტუალური იდეა და მისანი უნდა იყოს დემოკრატიული  
საზოგადოებრივი კონსტრუქციის აშენება, მაგრამ ამ მიზნისაკენ  
მიმჯალ გზას სხვადასხვანაირად ხედავდნენ.

გავლენაიან წევრთა ერთი ნაწილის აზრით ახალი რედაქციის  
ტექსტის წერა კონკრეტული მმართველობის ფორმის საფუძველზე  
უნდა დაიწყოს. გამარტივებული სახით ეს წინადაღება ასე გამო-  
იყენებოდა, რადგან არ გაამართლა საქართველოში 1995-2004  
წლებში მოქმედმა საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელმა, უარი  
უნდა ვთქვათ მასზე და ვიხელმძღვანელოთ საპარლამენტო (ნახევ-

რად-საპრეზიდენტო, შერუელი, მონარქიული) მმართველობის ფორმისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტებით, პროცედურებით, სისტემური ურთიერთობებით. ამგვარი მიღებობა არ გაიზიარა ამ სტატიის ავტორმა და სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელთა უმეტესობამ. მათი აზრით, გადასინჯვის მოდელური ბუნება რეფორმის განხორციელებისათვის კონტრაპოდუქტიული იქნება. კომისიის წევრთა შორის სხვადასხვა კონიუნქტურულ-პოლიტიკურ ინტერესთა და, თუ გნებავთ, კონსტიტუციურ გემოვნებათა გამო, გაიმართება ხანგრძლივი უნაყოფულებები მმართველობის საუკეთესო ფორმის შესახებ, რის გამო რეფორმა შეიძლება სულაც ვერ განხორციელდეს.

იმის გათვალისწინებით, რომ რეფორმა დაიწყო მმართველობის არსებული დეფორმაციების გამოსწორების მიზნით, მისი წარმატება უწინარესად სწორედ შერჩეული პრინციპებით, ღირებულებებით იქნება განპირობებული. ასეთ პრინციპებათ, რომელთა გარშემო და რომელებზე დაყრდნობით უნდა დაიწეროს ახალი რედაქცია დადგინდა:

- ადგიანის ძირითად სოციალურ ღირებულებად აღიარება;
  - სახალხო სუვერენიტეტი, რაც უშეალო და წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუტებში, სამართლიან არჩევნებზე დაფუძნებულ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში და განვითარებულ, კონომიკურად ძლიერ ადგილობრივ თვითმმართველობაში უნდა გამოიხატოს;
  - სახელმწიფო ხელისუფლების გონიერული პორიზონტალური და ვერტიკალური დანაწილება;
  - საქართველოს კონსტიტუციური ისტორიის, საქართველოს ხალხისა ეთნოეთიკოლოგიის, ტრანზიციის პროცესის კანონმდებლობათა გათვალისწინება.
- ამ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს მმართველობის ფორმის შემადგენელ ინსტიტუტთა კონსტიტუციური სტატუსი და უფლებამოსილებები, რის საფუძვლზე მეცნიერებას შეუძლია სისტემის მოდელური ბუნების განსაზღვრა.

ამ მოსაზრებათა საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დებულებაში ჩაიწერა, რომ რეფორმის პროდუქტით, კონსტიტუციური კანონით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცივილური ურთიერთობები სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, სახელმწიფო შებოჭილი უნდა იყოს ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით, სახელმწიფო ხელისუფლების განშტოებათა შორის უფლებამოსილებათა რაციონალური გამიჯვნა-დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით ეფუძნებანი, გაწონასწორებული სისტემის შექმნა.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის, საქართველოს პარლამენტის და საქართველოს პრეზიდენტის აზრით, ამგვარი შინაარსის კონსტიტუციური კანონი კარგი სამართლებრივი საფუძველი გახდება კვრიპულ კონსტიტუციონალიზმით დაახლოების გზაზე.

კონცეფციის ფუნდამეტური იდეის განხორციელებისათვის საჭირო გახდა საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის კონსტიტუციური სტატუსების, უზნეციებისა და შესაბამისად უფლებამოსილებების ასლებური გააზრება, სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში პარლამენტის როლის ზრდაზე და სასამართლოს დამოუკიდებლობის შემდგომ გარანტიებზე ზრუნვა.

### § 3. მოსაზრებათი რეზორმა - აუცილებლობა, განხორციელების ეთავაზი

თითოეული ქვეყნის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა საჭიროა სახელმწიფოს მოწყობის ძირითადი პრინციპებისა თუ ნორმების ახლებურად გააზრების აუცილებლობა, ამგვარი მდგომარეობა შეიძლება გამოწვეული იყოს ქვეყანაში არსებული სიტუაციით.

2008 წლის ბოლოს საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა საჯარო განცხადება საკუთარი უფლებების შეზღუდვისა და პარლამენტის

უფლებამოსილებათა გაზრდის თაობაზე. ეს იყო კონსტიტუციური რეფორმის დასწეული ხელისუფლების მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის შექმნა განპირობებული იყო საზოგადოებრივი მოთხოვნით, ასევე აღსანიშნავია საგარეო ფაქტორიც, კურძოდ საერთაშორისო ორგანიზაციათა მითითებები ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების უფრო მეტად სრულყოფაზე. მიუხდავად იმისა, რომ საქართველოში ვარდების რევოლუციის შედეგად მოსული ხელისუფლების საქმიანობას ბევრი პოზიტიური მხარე აქვს, არის გარკვეული პრობლემებიც. დღვანიდელი რეალობა იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ აუცილებელი იყო ცვლილებების განხორციელება, სწორედ ამიტომ შეიქმნა საქართველოს საკონსტიტუციო კომისია, რომელის საქმიანობა პირდაპირ დაუკავშირდა იმ პრობლემების მოგარებას, რომელიც საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესს ნაწილობრივ აფერხებდა.

საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის შექმნა ასევე განაპირობა გლობალური, რეგიონალური თუ შიდასახლმწიფო ებრივი გამოწვევების არსებობამ, რამაც 1995 წლის კონსტიტუციის გადასინჯვის საზოგადოებრივი მოთხოვნა გამოკვეთა.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განისაზღვრა საქართველოს სახლმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ძირითადი ამოცანები, კურძო „ქვეყნის თანამედროვე, მდგრადი და სტაბილური განვითარების, სამართლის უზნაესობის, სამოქალაქო საზოგადოებასა და სახლმწიფოს შორის ცივილური ურთიერთობების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი შინაარსის კონსტიტუციონის პროცესის მომზადება“<sup>1</sup>.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებითვე განისაზღვრა საქართველოს სახლმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ

კონსტიტუციის გადასინჯვის ფარგლები, ამ საკიხში მოიაზრება სახელმწიფოს ბოჭვა ძირითადი უფლებებით, სახელისუფლებო განშტოებათა უფექტიანი, გაწონასწორებული ისტემა და კონსტიტუციის სხვა დებულებათა ახლებური ხედვა.

საქართველოს სახლმწიფო საკონსტიტუციო კომისია შედგებოდა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით განსაზღვრული მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, აფხაზეთისა და აჭარის უტონომიური რეპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, ყოფილი სამხრეთ ოსეთის უტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის და საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული სახლმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ წარმოლებენილი პირების, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით განსაზღვრული აკადემიური პერსონალისა და სპეციალისტებისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ ნაცვლად დადგენილი ოცი პოლიტიკური პარტიისა, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ამ პროცესში, მხოლოდ ექვსი მათგანი ჩაერთო სახლმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობაში.

საქართველოს სახლმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შემადგნლობილან შეიქმნა ცხრა სამუშაო ჯგუფი. კომისიის ძირითადი სამუშაო ჯგუფები იყო: ა) კონსტიტუციის საერთაშორისო-სამართლებრივ საკითხთა (ხელმძღვანელი — ლევან ალექსიძე); ბ) საკონსტიტუციო ხელისუფლების საკითხთა (ხელმძღვანელი — ნანა ჭილაძე); გ) პრეზიდენტის ინსტიტუტის საკითხთა (ხელმძღვანელი — ზაზა რუხაძე); დ) აღმასრულებელი ხელისუფლების საკითხთა (ხელმძღვანელი — გიორგი კვერცხჩილაძე); ე) სასამართლო ხელისუფლებისა და ძირითადი უფლებების საკითხთა (ხელმძღვანელი — იაკობ ფუტკარაძე); ვ) ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხთა (ხელმძღვანელი — კახი ყურაძევილი); ზ) საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვისა და საქართველოს კონსტიტუციონი მექვიდრეობის საკითხთა (ხელ-

<sup>1</sup> საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №348 საქართველოს სახლმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ. 2009 წლის 23 ივნისი ქ.თბილისი

მძღვანელი — მაღაზ მაცაბერიძე); თ) საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური კანონმდებლობის ანალიზის (ხელმძღვანელი — ვასილ გონაშვილი); ი) პოლიტიკური ანალიზისა და პროგნოზირების საკითხთა (ხელმძღვანელი — სოსო ცინცაძე) სამუშაო ჯგუფები. თითოეულ ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ და მხოლოდ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფების არსებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან აქ ხდებოდა კონკრეტული საკითხების მოშადება, იმართებოდა დისკუსიები და ხდებოდა მოსაზრებათა შეჯერება. სამუშაო ჯგუფი ხელმძღვანელები, კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდგრადი ქმნილენ სარედაქციო საბჭოს, რომელიც განახოგადებდა სამუშაო ჯგუფებში მოშადებულ პროექტებს და გაიტანდა კომისიის სხდომაზე განსახილველად.

საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის არსებობის მანძილზე ჩატარდა სამუშაო ჯგუფების 60-ზე მეტი სხდომა, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ყველაზე აქტიური მუშაობა სწორედ სამუშაო ჯგუფებში მიმდინარეობდა.

კონსტიტუციური კანონის პროექტის შემუშავებაში საზოგადოების იმ ნაწილის ჩაბმის მიზნით, რომლებიც არ იყვნენ კომისიის წევრები, შეიქმნა თავმჯდომარის მრჩეველთა საბჭო. საბჭოს შემადგენლობაში, გარდა თავმჯდომარის მიერ შერჩეული პირებისა, წარმომადგენლთა წარდგენის უფლება ქონდათ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, არასამთავრობო ორგანიზაციას, გაერთიანებულ პროფესიულ კავშირებს, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. საბჭო იყო თავმჯდომარის სათათბირო ორგანო, რომლის დანიშნულებაა კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება.

საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ერთეულთი მნიშვნელოვანი მიზანი იყო მოსახლეობის აქტიური ჩართულობა კონსტიტუციური რეფორმის პროცესში. ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციების დელეგირების აქტიური ჩართულობა კონსტიტუციური რეფორმის პროცესში ყველაზე აქტიურად ჩართული იყო ვენეციის კომისია, რომელმაც რამდენიმე დასკვნა მოაშადა პრიორეტას დაკავშირებით.

შეხვედრა მოწყვილ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოქალაქეებთან, რათა მათ კონკრეტულად სცოდნოდათ რას გეგმავდა საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია და რა ეტაპზე იყო მიმდინარე კონსტიტუციური რეფორმა.

2010 წლის 12 თებერვალს მიღწეული პოლიტიკური შეთანხმებისა და პრეზიდენტის ოფიციალური მიმართვის საფუძველზე მიღებულ იქნა კომისიის მიერ შემუშავებული კონსტიტუციური კანონპროექტი კონსტიტუციაში დამატების შეტანის თაობაზე, რომელიც ქებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზების — საკრებულოების რიგგარეშე არჩევნების ჩატარების ვალებისა და თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევის პრინციპის კონსტიტუციურ რეგლამენტაციას.

2010 წლის ივნისში კომისიას შეხვედრები ჰქონდა პოლიტიკურ პარტიებთან, ანტიკრიზისულ საბჭოსთან, უმაღლეს სასწავლებლებში, ბიზნეს ასოციაციაში.

საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართულობას ამ პროცესში, ამიტომ ხშირად ხდებოდა საერთაშორისო ექსპერტების ვიზიტები საქართველოში, ასევე შეხვედრები დიპლომატიურ კორპუსთან, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და რაც ყველაზე მთავარია კონსტიტუციური რეფორმის პროცესში ყველაზე აქტიურად ჩართული იყო ვენეციის კომისია, რომელმაც რამდენიმე დასკვნა მოაშადა პრიორეტას დაკავშირებით.

კომისიის საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებას ემსახურებოდა კომისიის დელგაციის ვიზიტები პოლონეთში, თურქეთში, საფრანგეთში, ჩეხეთსა და იტალიაში 2010 წლის მაისსა და ივნისში. ვიზიტის დროს კომისიის დელგაციას შეხვედრები ჰქონდა სახელისუფლებო შტოების, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან, ვენეციის კომისიის წვერებთან, ექსპერტ-კონსტიტუციონალისტებთან.

კონსტიტუციური რეფორმისათვის უმნიშვნელოვანესი მოუ-

ლენა იქთ 2010 წლის 15-16 ივნისს ბერლინში გამართული საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც შონაწილეობდნენ როგორც კომისიის წევრები, ასევე აუტორიტეტული საერთაშორისო ექსპერტები, კონსტიტუციონალისტები, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები.

საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში არსებული სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელებმა 2009 წლის აგვისტოს ბოლოს წარმოადგინეს კონცეპტუალური ხედვა, რაც საფუძვლად უნდა დადგინდა კომისიის მიერ მიღებულ საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტს. 2009 წლის 26 დეკემბერს კომისიის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა სწორებ ამ კონცეპტუალურ ხედვაზე დაფუძნებული პროექტის სამუშაო ვარიანტი, ამავე სხდომაზე გადაწყდა, რომ მომზადებულიყო როგორც საპრუშიდენტო და საპარლამენტო, ასევე შერეული მმართველობის მოღელები, რათა კომისიის წევრებს შესაძლებლობა პქნონდათ აერჩიათ მათოვის სასურველი ფორმა სახელმწიფოს მოწყობისა.

საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის 2010 წლის 11 მაისის სხდომაზე განხილულ იქნა ა. დემეტრაშვილის და თ. შარმანაშვილის, ვ. გონაშვილისა და ლ. ბოძაშვილის, აგრეთვე ლ. რამიშვილის პროექტები. საბაზისო ვარიანტად მიღებულ იქნა ა. დემეტრაშვილისა და თ. შარმანაშვილის პროექტი, რომელიც წარმოადგენდა შერეული მმართველობის მოდელს, სადაც ჭარბობს საპარლამენტო მმართველობის მოდელის ელემენტები. აღსანიშნავია, რომ საბაზისო კონსტიტუციურ კანონპროექტზე თავისი დასკრინა წარმოადგინა ვენეციის კომისიამ.

საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის 19 ივნისის სხდომაზე კიდევ ერთხელ მუხლობრივად იქნა განხილული კონსტიტუციის ახალი რედაქციის საბაზისო პროექტი. დამსწრე კომისიის 49 წევრიდან ცვლილებებს მხარი 46-მა დაუჭირა, 3 წინააღმდეგი იყო. კონსტიტუციური კანონპროექტის საბოლოო ტექსტი პრეზიდენტს გადაეგზავნა პარლამენტში ინიცირებისათვის.

§ 4. საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი  
საქართველოს მოქალაქეობა. აღამიანის მირითადი  
უფლებაები და თავისუფლებაები და საარჩევო სამართლი  
2010 წლის 15 იანვრის კონსტიტუციით კანონის მიხედვით

კონსტიტუციაში ცვლილებები ყველაზე ნაკლებად აღამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ნაწილს შექმნა. მეორე თავის მხოლოდ რამდენიმე მუხლი შეიცვალა ან დაზუსტდა. კერძოდ, ესენია პიროვნების ხელშეუხებლობა (მუხლი 18. პუნქტი 6.), საკუთრების უფლება (მუხლი 21), გადაადგილების თავისუფლება (მუხლი 22), თანამდებობაზე არჩევის (მუხლი 29), შრომის (მუხლი 30), უსაფრთხო გარემოს (მუხლი 37. პუნქტი 4 მუხლი 37. პუნქტი 5) და ზარალის ანაზღაურების უფლება (მუხლი 42. პუნქტი 9). აღნიშნულ თავს ასევე დაემატა მუხლი 341 - ფიზიკური განვითარების უფლება.

#### საკუთრების უფლება (მუხლი 21)

აღნიშნულ მუხლზე მუშაობისას გათვალისწინებულ იქნა თანამედროვე ეროვნული გამოცდილება, შესწავლილ იქნა ყველა ფროპული ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობა და პრაქტიკაში მათი რეალიზაციის გარანტიები, გაზიარებულ იქნა საკუთრების დაცვის ყველა ის უფროდამენტალური პრინციპი, რაც შესაძლოა კონსტიტუციის დონეზე აისახოს და წარმოადგენდეს ძირითადი კანონით მოსაწესრიგებელ სფეროს.

21-ემუხლის პირველ პუნქტში, სადაც საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების აღიარებასა და უზრუნველყოფაზეა საუბარი, დაემატა, რომ ეს უფლებები ამავდროულად არის გარანტირებული. მეორე პუნქტში, რომელიც აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისას საკუთრების უფლების შეზღუდვის საკითხს აწესრიგებს, დაზუსტდა, რომ ამ უფლების შეზღუდვა

მხოლოდ იმგვარად არის შესაძლებელი, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი. საკუთრების დაცვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გარანტიები მუხლის მესამე პუნქტმა გაითვალისწინა. განისაზღვრა, რომ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში საკუთრების ჩამორთმება უნდა განხორციელდეს წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურებით. ასევე ამგვარი ანაზღაურება თუ ისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან.

#### **მუხლის ძევლი გარიანტი:**

1. საკუთრება და მექანიზრების უფლება აღიარებული და უწრენულებელია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექნის, გასხვისების ან მექანიზრების მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი.

3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმება დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.

#### **მუხლის ახალი გარიანტი:**

1. საკუთრება და მექანიზრების უფლება აღიარებული და ხელშეუკლია. დაუშვებელია საკუთრების, მისი

შექნის, გასხვისების ან მექანიზრებით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა განხონით განსაზღვრულ შემთხვებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი.

3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმება დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან.

(15.10.2010. №3710 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

ამ მხრივ მკითხველისთვის საინტერესო იქნება სხვა ქვეყნების ანალოგიური გამოცდილების გაცნობაც. გთავაზობთ რამდენიმე კვროპული ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისი მუხლების ამონარიდს.

#### **იტალია (მუხლი 42)**

საკუთრება შეიძლება იყოს სახელმწიფო ან კურძო კენობიკური საზოგადოების სახელმწიფოს, საზოგადოებასა და კურძო პირებს.

კურძო საკუთრება აღიარებული და დაცულია კანონით, რომელიც განსაზღვრავს მისი გამოყენებისა და სარგებლობის საშუალებებს, ასევე მის ფარგლებს სოციალური ფუნქციისა და კველასათვის ხელმისაწვდომის უწრენეველსაფოფფად.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვებში კურძო საკუთრება შეიძლება ჩამორთმებას საკუთრების ინტერესების მიზნების გადაწყვეტილების გადასაშვებისათვის დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად. საკუთრების ჩამორთმება საზოგადოებრივი ინტერესების გადასაშვებისათვის დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვებში, საერთო კანონის საფუძვლზე და სამართლიანი კომპენსაციის გადახდის პირობით.

კანონი აღენს კანონითა და ანდერბით მექანიზრების წესებსა და ფარგლებს, ასევე სახელმწიფოს უფლებას მექანიზრებით ქონებასთან დაკავშირებით.

#### **იაპონია (მუხლი 29)**

1) საკუთრების უფლება არ უნდა დაირღვეს.

2) საკუთრების უფლება განისაზღვრება კანონით ისე, რომ არ წინააღმდეგებოდეს საზოგადოებრივ

კეთილდღეობას.

3) კურძო საკუთრება შეიძლება გამოყენებულ იქნეს საჯარო ინტერესებისათვის სამართლიანი ანაზღაურებით

#### **ლატვია (მუხლი 105)**

ყველას აქვს საკუთრების უფლება. დაუშვებელია საკუთრების გამოყენება საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ. საკუთრების უფლება შეიძლება შეიწინებოდეს უწრენეველსაფოფფად. კანონით გათვალისწინებულ შემთხვებში კურძო საკუთრება შეიძლება ჩამორთმებას საკუთრების ინტერესების მიზნების გადასაშვებისათვის დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვებში, საერთო კანონის საფუძვლზე და სამართლიანი კომპენსაციის საცვლიდ.

#### **ლიტვა (მუხლი 16)**

არავის არ შეიძლება ჩამორთვას საკუთრება, გარდა საზოგადოებრივი ინტერესებით და კანონით დადგენილი შემთხვებისა და წესით და სამართლიანი და წინასწარი ანაზღაურების პირობით.

## პოლონეთი (მუხლი 64)

1. ყველას აქვს საკუთრების უფლება, სხვა ქონებრივი უფლებები, ასევე მექანიზმების უფლება.

2. საკუთრება და სხვა ქონებრივი უფლებები, ასევე მექანიზმების უფლება ექვემდებარება ყველასათვის თანასწორ დაცვას.

3. საკუთრება შეიძლება შეიძლება დოკუმენტით და მხოლოდ იმ მოცულობით, რომ არ დაიჩვენეს საკუთრების უფლების არსი.

## საბერძნეთი (მუხლი 17)

1. საკუთრებას იცავს სახელმწიფო; დაუშვებელია საკუთრებიდან გამომდინარე უფლებების საზოგადოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ განხორციელება.

2. არავის შეიძლება ჩამორითვას საკუთრება გარდა იმ შემთხვევასა, როდესაც ეს აუცილებელია სათანადო წესით დადასტურებული საზოგადოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ განხორციელება.

ული საკუთრების ღირებულებას კომპენსაციის ოდენობის დროებით განსაზღვრის შესახებ სასამართლო სხდომის ჩატარების მომენტისათვის. როდესაც არსებობს კომპენსაციის ოდენობის საბოლოოდ განსაზღვრის მოთხოვნა, სასამართლოს სხდომაზე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ სხდომის გამართვის მომენტისათვის ჩამორთმეული საკუთრების ღირებულება.

3. ჩამორთმების შესახებ აქტის გამოქვეყნების შემდეგ საკუთრების ღირებულების შეცვლა მხედველობაში არ მიიღება.

4. კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით გადახდილ უნდა იქნეს წელიწადნაზევრის განმავლობაში ღროებითი კომპენსაციის ან, პირდაპირი მოთხოვნის არსებობისას, საბოლოო კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთრების ჩამორთმება გაუქმდებულად ჩაითვლება.

აღნიშნული კომპენსაცია თავისუფლდება ყველა სახის გადასახადის, დაქვითვისა და მოსაკრებლისაგან.

## გერმანია (მუხლი 14)

(1) საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება გარანტირებულია. მათი შინაარსი და ფარგლები განისაზღვრება კანონებით.

(2) საკუთრება ფალდებულებს. საკუთრებით სარგებლობა ამაგდროულად უნდა ემსახურებოდეს საერთო კოორდინაციის.

(3) საკუთრების ჩამორთმება და საშეგნებია მხოლოდ საერთო კეთილდღეობისათვის. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ კანონით ან კანონის საფუძველზე, რომელიც არეგულირებს ზიანის ანაზღაურების სახეს და ფარგლებს. ზიანის ანაზღაურების ოდენობა უნდა დადგინდეს საჯარო ინტერესების და მხარეთა ინტერესების სამართლიანი ბალანსის საფუძვლზე. ზიანის ანაზღაურების ოდენობის შესახებ დავის არსებობის

შემთხვევაში, აღნიშნული ოდენობა შეიძლება დაგვინდეს სასამართლო წესით, საერთო იურისდიქციის სასამართლოში.

## აშშ (V და XIV შესწორებები)

არავის არ შეიძლება ჩამორთვას სიცოცხლე, თვისუფლებები ან საკუთრება სათანადო სამართლებრივი პროცედურის გარეშე; კრძო საკუთრება არ შეიძლება ამოღებულ იქნეს საზოგადოებრივი სარგებლობისთვის სამართლიანი ანაზღაურების გარეშე.

არცერთ შტატს არ აქვს უფლება რომელმე პირს ჩამორთვას სიცოცხლე, თვისუფლებები ან საკუთრება სათანადო სამართლებრივი პროცედურის გარეშე ან უარი უთხრას თვისით იურისდიქციის ფარგლებში კანონებით თანასწორ დაცვაზე.

საკუთრების უფლების შესახებ მუხლი რამდენჯერმე გაეგზავნა უცხოელ ექსპერტებს, მათ შორის ვენეციის კომისიას, რომელთა მხრიდან დიდი მოწონება და დადგებითი შეფასება დაიმსახურა.

გთხობობა ამონარიდს ვენეციის კომისიას ერთ-ერთი დასკენიდან:

„18. სიტყვები „სამართლიანი კომპენსაცია“ და „შესაბამისი კომპენსაცია“ შეიძლება განიმარტოს სხვადასხვაგვარად. ნათელი უნდა იყოს, რომ ინტერპრეტაცია უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ვროპული სასამართლოს პრაქტიკას. ადამიანის უფლებათა ვროპული კონვენციის 1 ოქტომბერი 1-ლი მუხლი მიანიშნებს „საერთოშორისო სამართლის ძირითად პრინციპებზე“,

რომელიც, როგორც წესი, მოითხოვს საკუთრების საბაზრო ღირებულების „სწრაფ, ადექტურ და ეფექტურ“ კომპენსაციას. თბილისში განხილვებისას შემოთავაზებული ფორმულა „სრული და სამართლიანი კომპენსაცია“ სასურველი იქნებოდა ტექსტისთვის წარმოდგენილი სახით.

20. რაც შექმნა გადასახადებისა და ბაჟების გადახდისგან გამოვისუფლებას იმ თანხებთან დაკავშირებით, რომელიც გადახდილია კომპენსაციის სახით ქონების ჩამორთმევის შემთხვევაში, ვენეციის კომისიას არ გააჩნია რაიმე საწინააღმდეგო მოსაზრება აღნიშნულ დებულებასთან დაკავშირებით“.

#### პიროვნების ხელშეუხებლობა (მუხლი 18)

აღნიშნულ მუხლში ცვლილების შეტანას საფუძვლად დაედო სისხლის სამართლის პროცესის სფეროში ქვეყანაში განხორციელებული რეფორმა. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღარ ითვალისწინებს ეჭვმიტანილის ცნებას, შესაბამისად, ცვლილება განხორციელდა კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტში და ამოღებულ იქნა დებულება, რომელიც ადგენდა, რომ „დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს“.

მუხლის ძევლი გარიანტი:  
6. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა - 9 თვეს.

მუხლის ახალი გარიანტი:  
6. ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. (15.10.2010. N3710 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან).

#### გადაადგილების თავისუფლება (მუხლი 22)

გარკვეული ცვლილებები შექმნა გადაადგილების თავისუფლების შესახებ მუხლსაც. შეიცვალა ამ მუხლის მე-3 პუნქტის

დებულება, რომელიც გარკვეულ გამონაკლის შემთხვევებში (დემოკრატიული სახოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯელების განხორციელების მიზნით) კრძალავს არა მხოლოდ საქართველოდან გასვლას, არამედ ქვეყნის მოქალაქეთა ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლას. კომისიაში მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ საქართველოს მოქალაქეს არცერთ შემთხვევაში, თუნდაც რაიმე გამონაკლისის სახით არ უნდა ეზღუდებოდეს საქართველოში თავისუფლად შემოსვლის შესაძლებლობა. შესაბამისად ახალი ცვლილებების მიხედვით გამონაკლის შემთხვევაში შეიზღუდება მხოლოდ საქართველოდან გასვლა, საქართველოს მოქალაქეებს საქართველოში შემოსვლა კი აღარ შეეზღუდებათ.

#### მუხლის ძევლი გარიანტი:

2. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

3. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული სახოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯელების განხორციელების მიზნით.

4. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

## თანამდებობაზე არჩევის უფლება (მუხლი 29)

პოლიტიკური უფლებებიდან ცვლილებები შექმო მხოლოდ თანამდებობაზე არჩევის უფლებას. ახალი კონსტიტუციური შესწორებების მიხედვით 29-ე მუხლს დაემატა 11 პუნქტი, რომლის მიხედვით ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს შეზღუდა ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის დაკავების უფლება:

„I. საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თვემჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა. (15.10.2010 №3710 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან).“

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 1.3. მუხლის მიხედვით „სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებს წარმოადგენენ:“

- ა) საქართველოს პრეზიდენტი;
- ბ) საქართველოს პარლამენტის წევრი;
- გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრი და საქართველოს მთავრობის სხვა წევრი;
- დ) აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი;
- ე) აფხაზეთისა და აჭარის აუტონომიური რესპუბლიკის მთავრობითი ხელმძღვანელები.

საკონსტიტუციო კომისიაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოიითქვა მრავალი განსხვავებული მოსაზრება. საბოლოოდ კომისია შეთანხმდა, რომ არა ყველა სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირს, არამედ მათგან მხოლოდ ქველაზე უფრო მნიშვნელოვან თანამდებობაზე გაურცელებულიყო აღნიშნული შეზღუდვა.

კენციის კომისიაც დაეთანხმა წარმოდგენილ ცვლილებას:

„22. კენციის კომისიის აზრით, ყოველი ქვეყნის საჯარო სექ-

ტორში ზოგიერთი თანამდებობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას საჯარო კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების მიმართ დაინტერესებასა და მათ განხორციელებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, რომელიც განმარტავს, რომ სახელმწიფოს გააჩნია ლეგიტიმური დაინტერესება აღნიშნულ თანამდებობის პირთა მიმართ ნდობის და ლოიალობის აუცილებლობაში. აღნიშნულ კატეგორიას განეკუთვნება რესპუბლიკის პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის სპიკერის თანამდებობები. კენციის კომისიის აზრით, ისინი შეიძლება ლეგიტიმურად დაიკავონ იმ პირებმა, რომელიც ფლობენ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობას.“

## შრომის უფლება (მუხლი 30)

გამომდინარე იქიდან, რომ მოქალაქეთა შრომითი უფლებები უფრო მაღალ ხარისხში იქნეს აყვანილი, რაც მათი უკეთ დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო გარანტი იქნება, გადაწყდა, რომ შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი საკითხები, ყერძოდ, შრომის კოდექსი ორგანული კანონის სახით იქნეს მიღებული. შესაბამისად, მის მიღებას, უფრო დიდი უმრავლესობა დასჭირდება, ვიდრე ჩვეულებრივი კანონისას და გართულდება მასში ცვლილებების შეტანისშესაძლებლობაც. ესყოველივე კი შრომითი ურთიერთობების მეტ სტაბილურობას უზრუნველყოფს.

მუხლის ძევლი გარიანტი:

- 4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით.
- 4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით. (15.10.2010 №3710 უზრუნველყოფლი იყოს ორგანული კანონის სახით მიღება 2011 წლის 1 იანვრამდე.)

ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოგილენთ ამონარიდს ვენციის კომისიის დასკენიდან:

25. ახალი 30-ე მუხლის მე-4 პუნქტით შრომის კოდექსი დაქმატა ორგანულ კანონთა კატეგორიას. ეს ახალი დებულება იმსახურებს მიღებას.

ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს პირის ფიზიკური განვითარების უფლება, რომელიც მართალია საქართველოს კანონმდებლობით ყოველთვის იყო აღიარებული და გარანტირებული, მაგრამ კონსტიტუციის დონეზე არ ყოფილა დაფიქსირებული. კომისიამ გაითვალისწინა ზოგიერთი სხვა ვეროპული ქვეყნის გმოცდილება და აღნიშნული უფლება პრინციპის სახით კონსტიტუციით გაამყარა.

მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

მუხლი 341. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებით, სპორტულ გაერთიანებებით თანამშრომლობით ხელს უწყობს მოზარდთა და ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას, სპორტში მათ ჩართვას. (15.10.2010 №3710 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

მართალია ჩვენ არ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვეროპაში არსებობს ფიზიკური განვითარების უფლების კონსტიტუციის დონეზე რეალურების ტენდენცია, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრ ვეროპულ განვითარებულ სახელმწიფოს, რომელსაც თანამედროვე სტილის ძირითადი კანონი გააჩნია, ეს საკითხი კონსტიტუციით აქვს მოწესრიგებული. გთვაზოთ რამდენიმე მათგანს:

პორტუგალია (მუხლი 79). ფიზიკულტურა და სპორტი

1. ეველას აქვს უფლება დაკავდეს ფიზკულტურითა და სპორტით.  
2. სახელმწიფო კალდებულია სკოლებთან და სპორტულ გაერთიანებებთან ერთობლივი თანამშრომლობით ხელი შეუწყოს წარმართოს და მხარი დაუჭიროს ფიზკულტურისა და სპორტის სწავლებას და მონაწილეობა მიიღოს მათ განვითარებაში, აგრეთვე აღკვეთოს სპორტში დალალობის გამოყენება.

საბერძნეთი (მუხლი 16.2.)

განათლება სახელმწიფოს ძირითადი ამოცანაა და იგი მიზნად ისახავს

ბერძნთა მორალურ, სულიერ, პროფესიონალურ და ფიზიკურ აღზრდას, მათში ერთონული და რელიგიური ცნობიერების განვითარებას და მათ ჩამოყალიბების თავისუფალ და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქეებად.

ესპანეთი (მუხლი 43.3.)

სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ სანიტარული განათლების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარებას და მათზე თანაბარ ხელმისაწვდომობას.

უსაფრთხო გარემოს უფლება (მუხლი 37 პარაგრაფი 4. პუნქტი 5.)

ცვლილება შექმნა უსაფრთხო გარემოს უფლების მოწყეს-რიგებელ მუხლსაც. მართალია იგი არსობროვად არ შეცვლილა, მაგრამ განხორციელდა გარკვეული რედაქციული შესწორები, ამავდროულად, დაქმატა სახელმწიფოს ვალდებულება უზრუნველყოს ქვეყნის მდგრადი განვითარება.

მუხლის ძველი ვარიანტი:

4. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების კულოგიური და კუნომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბენებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების კუნომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს მდგრადი დაცვასა და რა-კონკრეტულ ბენებათსარგებლობას.

5. ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ. (15.10.2010 №3710 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

5. ეველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრულ და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. (15.10.2010 №3710 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

## ზარალის ანაზღაურების უფლება (მუხლი 42)

გარკვეული კორექტირება განიცადა ადამიანის უფლების შესახებ მუხლმა, რომელიც უზრუნველყოფს უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით ანაზღაურებას. ამ ცვლილებით ყველას ექნება უფლება აუნაზღაურდეს არა მხოლოდ სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან, არამედ პეტონომიური რესპუბლიკების შესაბამის ორგანოთა და თანამდებობის პირთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზარალი. შესაბამისად, მათი ანაზღაურება უნდა მოხდეს იმ ტერიტორიული ერთულის ბიუჯეტიდან, რომლის ქმედებითაც მიადგა ადამიანს ზიანი.

## მუხლის ძევლი გარიანტი:

9. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან.

## მუხლის ახალი გარიანტი:

9. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, პეტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, პეტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. (15.10.2010 №3710 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან

## პრეზიდენტის საარჩევნო ცენტები (მუხლი 70 პუნქტი 2.)

მსოფლიო პრაქტიკა იცნობს ორი სახის ბინადრობის ცენტეს. ერთ შემთხვევაში პირს ვალება ნებისმიერ პერიოდში მუდმივად ცხოვრება ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში – უკანასკნელ პერიოდში, არჩევნებამდე. საქართველოს კანონმდებლობით ორივე შემთხვევა არის გათვალისწინებული. დღეს მოქმედი რედაქციით პრეზიდენტობის კანდიდატს საქართველოში ნაცხოვრები უნდა ჰქონდეს 15 წელი მაინც და ამავდროულად არჩევნების დანიშნვის დღეს ცხოვრობდეს საქართველოში. გარდა

ამისა, საარჩევნო კოდექსის მე-80 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „საქართველოს პრეზიდენტის კანდიდატი არ შეიძლება იყოს მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში და არც ერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე“.

კონსტიტუციის ახალმა რედაქციამ გარკვეული კორექტირება შეიტანა საგალდებულო ცხოვრების ვადებში. პირველ რიგში, ამ საკითხებთან დაკავშირებული კონსტიტუციის დოქტერი განსაზღვრა და, შესაბამისად, საარჩევნო კოდექსი კანდიდატებისთვის დამატებით მოთხოვნებს აღარ დაადგენს. ამავდროულად, მნიშვნელოვნად შეამცირა ქვეყანაში ცხოვრების საგალდებულო პერიოდულობის ვადა და 15-დან 5 წლამდე დასწია. პარალელურად ერთი წლით გაიზარდა არჩევნებამდე ბოლო პერიოდში ცხოვრების ვადა, რომელმაც 3 წელი შეადგინა.

## მუხლის ძევლი გარიანტი:

2. პრეზიდენტად შეიძლება აირჩის საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წლის მაინც და არჩევნების დანიშნვის დღეს ცხოვრობს საქართველოში.

## მუხლის ახალი გარიანტი:

2. პრეზიდენტად შეიძლება აირჩის საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წლის მაინც და არჩევნების დანიშნვის დღეს ცხოვრობს საქართველოში (15.10.2010 №3710 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

## ამ მხრივ წარმოგიდგნოთ სხვა ქვეყნების გამოცდილებასაც:

### ლიტვა (მუხლი 78).

რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქების მიერ 5 წლის ვადით საყველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული ქმნის წერით.

ერთი და იგივე პირი რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიძლება აირჩის ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

### უკრაინა (მუხლი 103).

უკრაინის პრეზიდენტი აირჩივა უკრაინის მოქალაქების მიერ საფორმლით, თანასწორი და პირდაპირი საარჩევო უფლების საფუძვლზე, ფარული კნიჭისფრის გზით, 5 წლის ვადით.

უკრაინის პრეზიდენტად შეიძლება აირჩის 35 წლის ასაკს მიღწეული უკრაინის მოქალაქე, რომელსაც გააჩნია საარჩევო ხმის უფლება, არჩევნების დღემდე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ცხოვრობს უკრაინში და ფლობს სახელმწიფო ენას.

ერთი და იგვე პირი უკრაინის პრეზიდენტი შეიძლება იყოს ზედობედ არა უმეტეს ორჯერ.

### ალბანეთი (მუხლი 86 და 88).

რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური და წარმოადგენს მთელ ხალხს.

პრეზიდენტად შეიძლება აირჩის მხოლოდ 40 წლის ასაკს მიღწეული დაბადებით ალბანეთის მოქალაქე, რომელიც არანაკლებ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ცხოვრობს ალბანეთში.

რესპუბლიკის პრეზიდენტი კველა შემთხვევაში აირჩივა 5 წლის ვადით, რომელის ხელახლა არჩივა შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ.

### ბულგარეთი (მუხლი 93).

1. პრეზიდენტი აირჩივა უშუალოდ ამომრჩევლების მიერ ხეთი წლის ვადით, კანონით განსაზღვრული წესით.

2. პრეზიდენტად შეიძლება აირჩის დაბადებით ბულგარეთის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 40 წელი, აქმაყოფილებს ეროვნული კრების წევრად არჩევისათვის აუცილებელ მოთხოვნებს და უკანასკნელი ხეთი წელი იცხოვრა ბულგარეთში.

### ამერიკის შეერთებული შტატები (მუხლი II).

აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს. იგი თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით და ამავე ვადით არჩეულ ვიცეპრეზიდენტან ერთად შეძლება წესით აირჩივა:

არც ერთ პირს, გარდა დაბადებით მოქალაქისა ან ამ კონსტიტუციის მიღების მომენტში შეერთებული შტატების მოქალაქისა, არ აქვს პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევის უფლება, ამ თანამდებობაზე არჩევის უფლება არც იმ პირს გააჩნია, რომელსაც 35 წლის ასაკისთვის არ მიუღწვია და 14 წლის მანძილზე არ ცხოვრობს შეერთებულ შტატებში.

### გერმანია (მუხლი 54).

1) უედერალური პრეზიდენტი აირჩივა უედერალური კრების მიერ დებატების გარეშე. არჩეული შეიძლება იქნეს ნებისმიერი გერმანული, რომელსაც აქვს ბუნდესტაგში არჩევის უფლება და მიაღწია 40 წლის ასაკს.

2) უედერალური პრეზიდენტის უფლებამოსილება გრძელდება 5 წელი. ხელმძღვანელ ზედიზედ არჩევა დასაშვებია მხოლოდ ერთხელ.

### ფინეთი (მუხლი 54).

რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩივა პირდაპირი წესით 6 წლის ვადით პრეზიდენტი უნდა იყოს

კონსტიტუციის ამ პუნქტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება გამოთქვა ვენეციის კომისიამაც:

„40. სრულიად გასაგებია კანდიდატისის სესიანასთან საკმარისი კანკორდაში მოთხოვნა. ვენეციის კომისიის მიერ წარმოდგენილი განმარტების თანახმად, აღნიშნული დებულების ინტერპრეტაცია მოხდება ისე, რომ გამოირიცხონ მხოლოდ ის პირები, რომელთაც არ გააჩნიათ ჰუმანიტარული კავშირები ქვეყანასთან“.

### პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური (მუხლი 70 პუნქტი 7)

კონსტიტუციის ცელის მიზანი ასევე ითვალისწინებს 70-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესწორებას, რაც განაპირობა ტექნიკურმა ხარვეზმა, რაც მასში 2006 წლის შემდეგ იყო შემორჩენილი. კერძოდ,

დაბადებით ფინეთის მოქალაქე. ერთი და იგვე პირი პრეზიდენტად შეიძლება ზედიზედ არჩეულ იქნეს მხოლოდ ორჯერ.

### ავსტრია (მუხლი 60)

უედერალურ პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ ის პირი, რომელსაც უფლება აქვს მონარქიული საბჭოს არჩევნებში და რომელსაც არჩევნების წლის 1 იანვრისთვის შეუსრულდა 35 წელი.

უედერალური პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა 6 წელია. ხელახლა არჩევა მომდევნო ვადით დაიშვება მხოლოდ ერთხელ.

მოქმედი რედაქციის მიხედვით, თუ პრეზიდენტის არჩევნების პირველ ტურში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და მან ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო, ან თუ მეორე ტურში არ აირჩა პრეზიდენტი, არჩევნების დღიდან ორი თვის ვადაში იმართება ხელახალი არჩევნები. ამ შემთხვევაში გაურკვეველია, თუ რა იგულისხმება მცორე ტურში პრეზიდენტის აურჩევლობაში. ეს ნორმა შემორჩენილია 2006 წლამდე არსებული ჩანაწერიდან, რომლის მიხედვით არჩევნების მცორე ტურში კენჭი ეყრდნობა პირველ ტურში უკეთესი შედეგის მქონე ორ კანდიდატს. მეორე ტური ჩატარებულად ჩაითვლებოდა, თუ მასში მონაწილეობას მიიღებდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის მესამედი მაინც. არჩეულად ჩაითვლებოდა ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებდა, ოღონდ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთი მქონედისა (პუნქტი 6). ამ რედაქციის მიხედვით შესაძლებელი იყო, რომ მეორე ტურში პრეზიდენტი ვერ არჩეულიყო, თუ მეორე ტურში მონაწილეობას არ მიიღებდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის მესამედი მაინც და ერთ-ერთი კანდიდატი არ მიიღებდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთი მქონედის ხედებს.

დღეს არსებული მე-6 პუნქტის რედაქციით კი მეორე ტურში პრეზიდენტის არჩევის შეუძლებლობა გამორიცხულია, ვინაიდან მე-6 პუნქტი, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და სხვა მრავალი ქვეყნის კანონმდებლობის მსგავსად აღარ შეიცავს არჩევნების მცორე ტურის შედეგების ღეგიტიმაციისთვის ამომრჩეველთა გარკვეული პროცენტის საფალდებულო მონაწილეობის შესახებ ნორმას, რომლის მიუღწევლობისას პრეზიდენტი ვერ აირჩოდა. მასში მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ „არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს“. სწორედ აქედან გამომდინარე, კონსტიტუციურმა ცვლილებებმა გათივალისწინა აღნიშნული ხარვეზი და მე-7 პუნქტიდან ამოიღო შესაბამისი ფორმულირება.

### მუხლის ქველი ვარიანტი:

7. თუ არჩევნების პირველ ტურში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და მან ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო, არჩევნების დღიდან ორი თვის ვადაში იმართება ხელახალი არჩევნები. (27.12.2006 N4133)

### მუხლის ახალი ვარიანტი:

7. თუ არჩევნების პირველ ტურში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და მან ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო, არჩევნების დღიდან ორი თვის ვადაში იმართება ხელახალი არჩევნები. (15.10.2010 N 3710 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან)

### პრეზიდენტის არჩევნების წესისა და პირობების ორგანულ კანონზე მითითება (მუხლი 70 პუნქტი 10)

კონსტიტუციის ახალი რედაქცია ითვალისწინებს 70-ე მუხლის მე-10 პუნქტის ამოღებას, რომლის მიხედვით, პრეზიდენტის არჩევნების წესი და პირობები, აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით (15.10.2010 N 3710 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან). აღნიშნული ცვლილების შედეგად, არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობის ყველა შემთხვევა, რაც დღემდე კონსტიტუციითა და ორგანული კანონით იყოს მოწერილი დაუშვებული, მხოლოდ კონსტიტუციით იქნება განსაზღვრული. ამდენად, აღნიშნული ნორმის კონსტიტუციაში არსებობა იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით აღარ არის საჭირო.

### § 5. პონტიტეციერი რეზონა: საქართველოს კალამენტი

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით იზრდება საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებები. პარლამენტი კვლავ რჩება ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოდ, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას,

განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

საქართველოს კონსტიტუციის მესამე თაუში შესული პირველი ცვლილება(მუხლი 511 - პუნქტი ა-დ) ქება პარლამენტის დათხოვნის კონსტიტუციით განსაზღვრული შემთხვევებისას არსებულ გამონაკლისებს, კერძოდ, პარლამენტის დათხოვნა კვლეულაშებელია არჩვნების ჩატარებიდან ექვსი თვის განმავლობაში და ასევე საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების გადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როცა პარლამენტი ვერ ახდენს მთავრობის ფორმირებას, რისი პროცედურაც კონკრეტულადა გაწერილი.

კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით იკლებს პარლამენტის იმ წევრთა რაოდენობა, რაც აუცილებელია პარლამენტში საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიების შესაქმნელად. მათთვის რაოდენობის შემცირება მნიშვნელოვნია იმდენად, რამდენადაც ის საპარლამენტო უმცირესობების როლის ზრდას გაძლიერებს. კონსტიტუციაში დაფიქსირდა რომ, ნაცვლად ერთი მეოთხედისა ერთ მქუთხდის მოთხოვნა საჭირო საგამიძიებო ან სხვა დროებითი კომისიის შესაქმნელად. (მუხლი 65 პუნქტი 2)

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია ადგენდა, რომ პარლამენტის წევრი უფლებამოსილი იყო კითხვით მიემართა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსთვის, მთავრობისთვის, ქალაქის მერისთვის, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელისთვის, სახელმწიფო დწესებულებისათვის და მიეღო მათგან პასუხი, ეს ნირმა ოდნავ შეიცვალა და ქალაქის მერი იქნა ამოღებული ჩანაწერიდან, რადგან იგი თვითშმართველობის შემადგენლი ნაწილია და ვერ იქნება პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული. (მუხლი 59 პუნქტი 1)

პარლამენტს კონსტიტუციის ახალი რედაქციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად რჩება შესაძლებლობა სრული შემადგენლობის უმრავლესობით პრემიერ-მინისტრის წინაშე დასვას მთავრობის ცალკეული წევრის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის

საკითხი, მაგრამ ახალი რედაქციის მიხედვით პრემიერ-მინისტრი გალდებული აღარ არის მინისტრის არ გათავისუფლების შემთხვევაში პარლამენტს წარუდგინოს თავისი მოტივირებული გადაწყვეტილება.

იცვლება პარლამენტის რიგგარეშე სხდომებისა და სესიების მოწვევის მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტთა ჩამონათვალი. კერძოდ პრეზიდენტს უფლება არა აქვს საკუთარი ინიციატივით მოიწვიოს რიგგარეშე სესია ან სხდომა, მაგრამ კონსტიტუციის ახალი რედაქციის შესაბამისად მთავრობას ეძლება უფლება წარდგინებით მოთხოვთ რიგგარეშე სესიის ან სხდომის მოწვევა. (მუხლი 61 პუნქტი 2)

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია იმპიჩენტის წესის სახეცვლილ გარიანტის გვთავაზობს, კერძოდ, პარლამენტში პრეზიდენტის იმპიჩენტის წესით თანამდებობიდან აღძვრის შემდგებას დასკენისათვის გადაეცემა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს და არა ასევე უზნეას სასამართლოს, რომელიც ძველი წესით მონაწილეობდა ამ პროცესში. თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაადასტურებს პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობას ან კონსტიტუციის დარღვევას, პარლამენტი პირდაპირ უკრის კონჭებს პრეზიდენტის იმპიჩენტის წესით თანამდებობიდან გადაეცებას. ახალ რედაქციაში ამოღებულია შუალედური პროცედურა, როცა პარლამენტი კონჭებს უფრიდა დამდგარიყო თუ არა კონჭისერაზე იმპიჩენტის საკითხი.

კონსტიტუციის მე-3 თავის 65-ე მუხლის ემატება ახლი 11 პუნქტი, რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმების შესახებ მიმართავს საქართველოს მთავრობა, ხოლო იმ შემთხვევაში როცა ხელშეკრულება: ა) ითვალისწინების საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლას; ბ) სამხედრო ხასიათისაა; გ) ქება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრების შეცვლას; აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება (შეთანხმება) დადგებულია საქართველოს პრეზიდენტის

მიერ, – საქართველოს პრეზიდენტი, რაც საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას.

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხადვით საქართველოს პრეზიდენტს აღარ აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, ასევე მხოლოდ მოურობის მიერ წარდგენილ კანონპროექტის მისამართზე მოთხოვნით პარლამენტი რიგგარეშე განიხილავს.(მუხლი 67 პუნქტი 1-2)

იცვლება ასევე პრეზიდენტის ვეტოს გადასაღანგად საჭირო პარლამენტის წევრთა ხმების რაოდენობა. თუ პარლამენტმა არ მიიღო პრეზიდენტის შენიშვნები, კინ კი ურება კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას. კანონის პროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭრს პარლამენტის სითო შემაღენლობის ნახევარზე მეტი. ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭრს პარლამენტის სრული შემაღენლობის ნახევარზე მეტი. კონსტიტუციური კანონის პროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭრს პარლამენტის სრული შემაღენლობის არანაკლებ ორი შესამედი. ეს ცვლილება კვლავ პარლამენტის როლის ზრდას უკავშირდება და მიზნად ისახავს, პრეზიდენტის ჩარევის შეზღუდვას საკანონმდებლო პროცესში (მუხლი 68).

საქართველოს პარლამენტს აქვს უფლება უნდობლობა გამოცეცხადოს მთავრობას. საბაზისო პროექტში წარმოდგენილია უნდობლობის კონსტრუქციული ვოლუმის ინსტიტუტი (მუხლი 81).

პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია დასვას მთავრობის ნდობის საკითხი პარლამენტში განსახილებულ კანონპროექტთან დაკავშირდებით თუ პარლამენტი ნდობას გამოუკადებს მთავრობას, წარმოდგენილი კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება (მუხლი 81).

## § 6. საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტი და 2010 წლის პრესტიტუციური რეზონა

### 1. შესავალი

2010 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, რითაც დასრულდა 2009 წელს დაწყებული საკონსტიტუციო რეფორმა. ქვეყნის ძირითადი კანონი, რომელმაც საკანონმდებლო მოცულობითი და მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, ფაქტობრივად ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის გარემოებაც, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქცია მმართველობის საპარლამენტო მოდელზე არ განვითარება, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შერეული მმართველობის იმგვარ მოდელზე გადასვლას ითვალისწინებს, რომელიც საპარლამენტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი ელემენტებით უხვადაა გაჯერებული!

კონსტიტუციის ახალი რედაქციის ის ნორმები, რომლებიც სახლისუფლებო განშტოებებს შორის ურთიერთობის ახლებურ, დღვენდელისაგან განსხვავებულ წესებს ადგენენ, ამოქმედდება 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მოქმედიდან. შესაბამისად, საკაო დროა ხსნებული ცვლილებების ირგვლივ აკადემიური, პოლიტიკური თუ სხვა სფეროების წარმომადგენლების მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა თუ შენიშვნების ანალიზისა და სამომავლოდ გათვალისწინებისათვის.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ არ შევხებით საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი სტატუსისა და უფლებამოსილებების დღეს მოქმედი ნორმების ანალიზს, ჩვენი ინტერესის სფერო ის საკონსტიტუციო ნოვაციებია, რომლებიც სახელმწიფოს მეთაურის

1 გ.კახანი. მოსაზრებები კონსტიტუციური კანონის პროექტთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე. [http://www.parliament.ge/publicdebates/article\\_7.pdf](http://www.parliament.ge/publicdebates/article_7.pdf)

ინსტიტუტთან დაკავშირებით შემოვიდა ქართულ რეალობაში. ამასთან, ხსენებული ნოვაციების წარმოჩენა მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე ვენეციის კომისიის 2010 წლის 15-16 ოქტომბრის დასკვნის შესაბამისი პუნქტების ანალიზის პარალელურად<sup>1</sup>.

ქართულ კონსტიტუციონალიზმი წარმოჩენილი პრობლემების უმრავლესობა სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტის შექმნასთან, მისი კომპეტენციური საზღვრების კონსტიტუციურ რეგლამენტაციასთან არის დაკავშირებული. 1991 წლის 14 აპრილს კონსტიტუციური კანონით საქართველოში, ისტორიაში პირველად, შემოღებულ იქნა პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომელიც საყოველთაო, პირდაპირი არჩევნების წესით აირჩეოდა. იმ პერიოდისათვის არსებული საპარლამენტო მმართველობის ფორმის პრეზიდენტისათვის ღვევიტიმაციის მაღალი ხარისხის მიუწვევების ამგვარი ფორმა (იგულისხმება საყოველთაო და პირდაპირი არჩევნები) დღესაც იშვიათობაა - საპარლამენტო მოდელებში პრეზიდენტის საყოველთაო, პირდაპირი არჩევნების წესი დამკაიდრდა ბულგარეთში (1991 წლის ველისიდან), სლოვენიაში (1991 წლის დეკემბრიდან), აუსტრიაში (1957 წლიდან)<sup>2</sup>.

1995 წლის საქართველოს კონსტიტუციამ საპრეზიდენტო მმართველობის მოდელის პრეზიდენტი საკანონმდებლო თუ საბიუჯეტო პროცესის მართვის ბერკეტებით სრულად აღჭურვა. პრეზიდენტის კომპეტენციური საზღვრების კონსტიტუციური ზრდა აისახა 2004 წლის 6 თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებებშიც, რის შედეგადაც, სახელმწიფო მმართველობის ფორმის ცვლილებასთან ერთად, გაფართოვდა სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებების არეალიც, განსაკუთრებით აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მიმართებაში. ამას მიანიშნებს საქართველოს კონსტიტუციის ყველაზე მოცულობითი - 73-ე მუხლიც, რომელიც პრეზიდენტის

<sup>1</sup> ვეროპული კომისია „დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობის“, დასკვნა CDL-AD(2010)028, 15-16 ოქტომბერი, 2010. [http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD\(2010\)028-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD(2010)028-e.asp)

<sup>2</sup> ო.მელქაძე. საქართველოს კონსტიტუციური სამართლი. გვ.164.

კომპეტენციას ქვება და რომელმაც, 1995 წლიდან დღემდე, ყველაზე მეტი ცვლილება განიცადა.

განვიხილოთ უმთავრესი, და არა გამომდინარე საკონსტიტუციო ცვლილებების ის ნაწილი, რომლებიც კონსტიტუციის მეოთხე თავს - ”საქართველოს პრეზიდენტი“ შექო. ამასთან, ხსენებული ცვლილებების განხილვისას ამოსავალ დებულებას წარმოადგენს თავად მმართველობის ის მოდელი, რაც კონსტიტუციის ახალმა რედაქციამ გაითვალისწინა, ასევე ის გარემოება, რომ მთვრობა ჩამოყალიბდა აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ და განისაზღვრა აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებლელ სახელისუფლებო შტოდ ჩამოყალიბების კონსტიტუციური გარანტიები.

2. პრეზიდენტის კონსტიტუციური სტატუსი და არჩევის წესი (მუხლები 69-72)

საკონსტიტუციო რეფორმა, უპირველესად, პრეზიდენტის კონსტიტუციურ სტატუსს შექო. თუ დღეისათვის პრეზიდენტი, სხვა ფუნქციებთან ერთად, არის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართველი და განმახორციელებელი, ცვლილებების შემდგომ იგი მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის, სახელისუფლებო ორგანოთა შორის არბიტრის, უმაღლესი მთავარსარდლის და საგარეო ურთიერთობებში სახელმწიფოს წარმომადგენლის ფუნქციებით იქნება აღჭურვილი. შესაბამისად, მოხდა პრეზიდენტის ინსტიტუტის დისტანციონურება აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან, რაც საკონსტიტუციო რეფორმის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა.

კონსტიტუციამ პრეზიდენტობის კანდიდატთან მიმართებით დააწესა ე.წ. ”მკვიდრობის ცენზი“ — არჩევნების დანაშვნის დღემდე ბოლო სამი წელი საქართველოში ცხოვრების საყალდებულო მოთხოვნა. ხსენებული ნოვაცია არ არის უცხო საარჩევნო სამართლისათვის და იგი, ვენეციის კომისიის დასკვნასაც თუ მოვიშველიებთ, ”პრეზიდენტობის კანდიდატის ქვეყანასთან

საქმარისი კავშირების”<sup>1</sup> არსებობას ემსახურება, რაც, ჩვენი აზრით, მომავალი პრეზიდენტისათვის აუცილებელი მოთხოვნა უნდა იყოს და რაც, ვენეციის კომისიის დასკვნითვე, განაპირობებს რომ კანდიდატებად ”გამოირიცხონ მხოლოდ ის პირები, რომელთაც არ გააჩნიათ ჰუმარიტი კავშირები ქვეყანასთან”<sup>2</sup>. აქვე, განისაზღვრა პრეზიდენტის ხელახალი და მორიგი არჩევნების დანიშნისა თუ ჩატარების ვადები.

კონსტიტუციურმა ცვლილებებმა შეაქვთ ის გაკუუმი, რაც უკავშირდებოდა პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტას და ეს საკითხი დაუკავშირა ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადგების მომენტს. ასევე, აიკრძალა პრეზიდენტის მიერ პარტიული თანამდებობის დაკავება, რაც მისი, როგორც ნეიტრალური არბიტრის ფიგურის ჩამოყალიბებისაკენ წინგადადგმული ნაბიჯია. ამგვარი მოსახრება ასახულია ვენეციის კომისიის ხსენებულ დასკვნაშიც<sup>3</sup>.

### 3. პრეზიდენტის უფლებამოსილებები (მუხლები 73-76)

საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, არსებითად გადაისინჯა კონსტიტუციის 73-ე მუხლი, რომელიც პრეზიდენტის კომპეტენციურ არეალს განსაზღვრავს.

საკონსტიტუციო რეფორმის მიზნებიდან და დადგენილი მმართველობის მოდელიდან გამომდინარე, პრეზიდენტს ადარ ექნება უფლება დანიშნოს პრემიერ-მინისტრი, თანხმობა მისცეს ამ უკანასკნელს მინისტრების დანიშვნაზე, დაითხოვოს მთავრობა და გადაყენოს ოუსტიციის, შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრები. პრეზიდენტის კომპეტენციის ამგვარი შეზღუდვა უზრუნველყოფს მთავრობის დამოუკიდებელ და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს თრგანოდ ჩამოყალიბების მიზნის

<sup>1</sup> ვროპული კომისია ”დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით“, დასკვნა CDL-AD(2010)028, 15-16 ოქტომბერი, 2010. პუნქტი 39.  
[http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD\(2010\)028-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD(2010)028-e.asp)

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, პუნქტი 41.

მიღწევას, რაც გაშიარებულია ვენეციის კომისიის მხრიდან<sup>1</sup>.

შეიძლება საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებები საგარეო ურთიერთობებში, კერძოდ, საერთაშორისო ხელშეკრულებათა ხელმოწერა, ელჩიბის დანიშვნა თუ აკრედიტაცია საკონსტიტუციო ცვლილებების შემდგომ შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მთავრობასთან შეთანხმებით. უნდა აღინიშნოს, რომ ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, ხსენებული ნოვაცია ”გაზრდის მთავრობასა და პრეზიდენტს შორის დაპირისპირების წარმოშობის რისკს”<sup>2</sup> და შემოთავაზებულია პრეზიდენტისათვის საგარეო ურთიერთობათა სფეროში ჩამოთვლილი უფლებამოსილებების ჩამორთმება. თუმცა, საკმაოდ რომელი იქნება პრეზიდენტის, როგორც საგარეო ურთიერთობებში სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლის და მთავრობის, როგორც საგარეო პოლიტიკის განმახორციელებელობრგანოს უფლებამოსილებების კონსტიტუციურ დონეზე მყავიო გამიჯვნა. ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხი მიმდინარე კანონმდებლობითა და შემდგომ ჩამოყალიბებული პრაქტიკით იქნება დარუებულირებული.

მისასალმებელი ნოვაციაა პრეზიდენტის დისტანციურა საბიუჯეტო პროცესისაგან, რაც, უპირველესად მთავრობის ახალი როლითა და ფუნქციებით უნდა აიხსნას. ასევე, კონსტიტუციის 73-ე მუხლის ე) და ვ) ქვეპუნქტებში დაკონკრეტული არსებული ზოგადი ჩანაწერი პრეზიდენტის საკადრო უფლებამოსილებებთან დაკავშირებით და მოხდა ამომწურავი ნუსხის შემოთავაზება. უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტს კვლეული რჩება აჭარის აკტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის ავტონომიის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის უფლებამოსილება, რაც საქართველოს მთავრობის თანხმობით ხორციელდება. აღნიშნული უფლებამოსილება მუდმივი კრიტიკის საგანია ვენეციის კომისიის მხრიდან, რაც ასახულია როგორც 2004 წლის 18-19 ივნისის

<sup>1</sup> ვროპული კომისია ”დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით“, დასკვნა CDL-AD(2010)028, 15-16 ოქტომბერი, 2010. პუნქტი 42.  
[http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD\(2010\)028-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD(2010)028-e.asp)

<sup>2</sup> იქვე, პუნქტი 43.

დასკვნაში ”აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის თაობაზე<sup>1</sup>, ასევე 2010 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო რეფერენდის შესახებ ვენეციის კომისიის დასკვნაში<sup>2</sup>. მიგვაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო ორგანოების მონაწილეობის ხარისხი ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ფორმირების პროცესში შედგომი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, თუნდაც იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებს მიეკუთვნება ”აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე დავის განხილვა და ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციისთან შესაბამისობის საკითხის გადაწყვეტა.

პრეზიდენტს ჩჩება დისკურსიული უფლებამოსილებები საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადებასთან, ასევე თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთულების წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის შეჩერებასთან დაკავშირებით, რაც გამართლებულად მიგვაჩნია ჩამოთვლილ სიტუაციებში სახელმწიფოს მხრიდან ოპერატიოული რეაგირების აუცილებლობიდან გამომდინარე. სახელმწიფოს მეთაურის ხელმისამართი უფლებამოსილებები გაწონასწორებულია პარლამენტის მხრიდან თანხმობის აუცილებლობით.

უდავოდ მისასალმებელია პრეზიდენტისათვის საკონსტიტუციო და აღმინისტრაციული იუსტიციის განხორციელების უფლებამოსილების ჩამორთმევა, კერძოდ კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პრეზიდენტი უფლებამოსილი იყო შეეჩერებინა ან გაუუქმებინა მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების

<sup>1</sup> ვროპული კომისია „დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით“, დასკვნა CDL-AD(2010)028, 18-19 ვნების, 2004.. [http://www.venice.coe.int/docs/2004/CDL-AD\(2004\)018-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2004/CDL-AD(2004)018-e.asp)

<sup>2</sup> ვროპული კომისია „დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით“, დასკვნა CDL-AD(2010)028, 15-16 ოქტომბერი, 2010. პუნქტი 47.

[http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD\(2010\)028-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD(2010)028-e.asp)

დწესებულებათა აქტები, თუ ისინი ქრინააღმდევებიან საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, კანონებსა და პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებს. აღნიშნული უფლებამოსილება, როდესაც ქვეყანაში არსებობს საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზირებული სასამართლო ორგანო, მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების კომიტეტიას უნდა წარმოადგენდეს, მით უმეტეს, რომ პრეზიდენტს გააჩნია სარჩელის შეტანის უფლებამოსილება როგორც საკონსტიტუციო, ისე საერთო სასამართლოებში. ამგარი ცვლილება პოზიტიურადაა შეფასებული ვენეციის კომისიის შესაბამის დასკვნაშიც<sup>1</sup>.

4. კონტრასიგნაციის მექანიზმი — ნოვაცია ქართულ საკონსტიტუციო რეალობაში (მუხლი 731)

კონსტიტუციას დაემატა ახალი 731 მუხლი, რომლითაც, პირველად ქართულ საკონსტიტუციო რეალობაში, მკვიდრდება პრეზიდენტის სამართლებრივ აქტებზე პრემიერ-მინისტრის მხრიდან კონტრასიგნაციის ინსტიტუტი. კონსტიტუციონალიზმის დოქტრინაში კონტრასიგნაცია (ლათინური: კონტრა-წინააღმდევ, სიგნარე-ხელმოწერა) სახელმწიფოს მეთაურის სამართლებრივი აქტების პრემიერ-მინისტრის (იშვიათად-შესაბამისი სფეროს მინისტრის) მხრიდან თანახელმოწერას გულისხმობს, რის შედეგად აქტი იძენს იურიდიულ ძალას და მის აღსრულებაზე სამართლებრივი თუ პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება პრემიერ-მინისტრს.

ისტორიულად, კონტრასიგნაციის ინსტიტუტი ორი სამართლებრივი პრინციპის — მონარქის სუვერენიტეტისა და პარლამენტის უზენაესობის პრინციპების დაპირისპირების შედევრად აღმოცენდა. იგი სათავეს 1701 წლიდან იღებს, ინგლისის ”შოტლანდის აქტი“-თ, რომელმაც საბოლოოდ შესძლება მონარქის აბსოლუტური ძალა-უფლება და დამკვიდრა დუალისტური მონარქია. როგორც

<sup>1</sup> ვროპული კომისია „დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით“, დასკვნა CDL-AD(2010)028, 15-16 ოქტომბერი, 2010. პუნქტი 49. [http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD\(2010\)028-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD(2010)028-e.asp)

ცნობილი კონსტიტუციონალისტი ანდრაშ შაიო აღნიშნავს, „კონსტიტუციური პრობლემა იყო, თუ როგორ უნდა მომხდარიყო მეფის გაქონტროლება - რომლის პასუხისმგებლობის საკითხიც ვერც პიროვნულ და ვერც მისი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის რანგში, ვერ დგებოდა”<sup>1</sup>.

კონტრასიგნაცია განხილული უნდა იყოს როგორც სამართლებრივი სიმბოლო, რომელიც ადასტურებს სახელმწიფოს მეთაურის აქტების აღსრულებაზე პასუხისმგებლობის მთავრობის წევრებზე გადატანას. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ თანამედროვე ვროპული სახელმწიფოების კონსტიტუციები, რომლებიც ითვალისწინებენ კონტრასიგნაციის მექანიზმს, არ აღექნენ თანახელმძღვრობი აქტის აღსრულებაზე სპეციალური პასუხისმგებლობის კონკრეტულ პროცედურებს. შესაბამისად, კონტრასიგნაციის ინსტიტუტის რეალურ სამართლებრივ შინაარსს წარმოადგენს არა სახელმწიფოს მეთაურის აქტებზე თანახელმომწერ პირზე პასუხისმგებლობის გადატანა, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებისა და კომპეტენციების გამიჯვნა.

თანამედროვე სახელმწიფოთა კონსტიტუციურ-სამართლებრივ სისტემებში კონტრასიგნაცია, როგორც წესი, დამკვიდრებულია აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციური დუალიზმის პირობებში, საპარლამენტო და შერეული მმართველობის მოდელში. კონტრასიგნაცია წარმოადგენს სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებების შეზღუდვის პროცესუალურ ფორმას, რომლის გარეშე სახელმწიფოს მეთაურის სამართლებრივ აქტს არ გააჩნია იურიდიული ძალა და არ ხდება მისი აღსრულება (მაგალითისთვის: იტალიის კონსტიტუცია-მუხლი 89; გერმანიის ძირითადი კანონი-მუხლი 58; საბერძნეთის კონსტიტუცია-მუხლი 35; პორტუგალიის კონსტიტუცია-მუხლი 140). კონტრასიგნაციის ინსტიტუტის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ კონტრასიგნაციას არ ექვემდებარება სახელმწიფოს მეთაურის

<sup>1</sup> ა. შაიო. ხელისუფლების თვითშეზღუდვა. გვ. 102-103.

ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც უკავშირდება ერთი შხრივ, მისი, როგორც არბიტრის ფუნქციებს სახელისუფლებო განშტრებებს შორის არსებული კონვლიქტების თუ პოლიტიკური კრიზისების განსამუხტავად და მეორე მხრივ, გარკვეულ ე.წ. ”ფორმალურ-ტექნიკური ხასათის უფლებამოსილებებს”, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის კომპეტენციას მიეკუთვნება (მაგალითისათვის: უფლებამოსილებები მთავრობის ფორმირების ან პარლამენტის დათხოვნის პროცესში [გერმანია, საფრანგეთი]). შესაბამისად, შეგვიძლია დაფასკვნათ, რომ კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრაქტიკაში კონტრასიგნაციას ექვემდებარება სახელმწიფოს მეთაურის იმ უფლებამოსილებების რეალიზაცია, რომლებიც გარკვეულწილად აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას უკავშირდება. ამასთან, და ამას ვროპული სახელმწიფოების კონსტიტუციური პრაქტიკაც ადასტურებს, კონტრასიგნაციის მექანიზმი დამკვიდრებულია მხოლოდ იმ სახელმწიფოებში, სადაც არსებობს პარლამენტის წინაშე მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობის მექანიზმი. კონტრასიგნაციის ინსტიტუტი სახელმწიფოს მეთაურთან მიმართებაში მთავრობის დამოუკიდებლობისა და აუტონომიურობის კონსტიტუციურ გარანტიას წარმოადგენს, რაც, საბოლოო ჯაში, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის უზრუნველყოფას ემსახურება.

სწორედ ზემოხსენებული მიზნების რეალიზაციას ემსახურება კონტრასიგნაციის მექანიზმის ქართულ კონსტიტუციურ რეალობაში დანერგვა. აქვე, დადგენილია გამონაკლისი შემთხვევა - პრეზიდენტის მიერ საომარი მდგომარეობის დროს გამოცემული აქტები თავისუფლდება კონტრასიგნაციის აუცილებლობისაგან. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან პრეზიდენტი, მისი კონსტიტუციური სტატუსიდან გამომდინარე, სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალია და ქვეყნაში საომარი პირობების არსებობისას მას სწრაფი, ოპერატიული რეაგირების შესაძლებლობა უნდა გააჩნდეს. ამასთან, კონსტიტუციის 731 მუხლი ითვალისწინებს საკითხთა

წრეს, რომლებთან დაკავშირებით გამოცემული პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები არ ექვემდებარება კონტრასიგნაციას. ეს, ძირითადად, გახდავთ ის საკითხები, რომლებიც კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრაქტიკაში ცნობილია როგორც ”უშუალოდ სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებები“. მათ რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითისათვის, - პარლამენტის არჩევნების დანიშნვა და დათხოვა; პარლამენტის რიგგარეშე სხდომის ან სესიის მოწვევა; საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელება; კანონთა პრომულებაცია; საკადრო უფლებამოსილებები; შეწყვეტა; მოქალაქეობის მინიჭება ან შეწყვეტა; სახელმწიფო ჯილდოების ან სპეციალური წოდებების მინიჭება.

ახალი საკონსტიტუციო ცელილებების კონტექსტში, საქმაოდ საინტერესო დასკვნებია გამოთქმული კონტრასიგნაციის ქართული ვარიაციასთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის ზემოხსენებულ დასკვნაში. კურძოდ, დასკვნის 53-56-ე პუნქტების<sup>1</sup> სრულყოფილი ანალიზი ცხადყოვს, რომ ვენეციის კომისია, შესაბამის არგუმენტაციაზე დაყრდნობით, საჭიროდ მიიჩნევს კონსტიტუციის 731 მუხლში დაზუსტდეს ან კიდევ უფრო გაფართოვდეს კონტრასიგნაციას დაქვემდებარებული სახელმწიფოს მეთაურის სამართლებრივი აქტების წრე. ვიმედოვნებთ, რომ ვენეციის კომისიის ხსენებული რეკომენდაციები, კონტრასიგნაციის ინსტიტუტის დახვრის კუთხით, გახდება შემდგომი მსჯელობის საგანი.

### 5. დასკვნა

ჩვენს მიერ განხილული იქნა 2010 წლის 15 ოქტომბერს განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის ის უმთავრესი, პრინციპული ნოვაციები, რომლებიც უკავშირდება საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივ სტატუსს. ამასთან, აუცილებლობად ვთვლით, რომ თითოეული საკონსტიტუციო სიახლის შემდგომი განხილვა განხორციელდეს საკონსტიტუციო რეფორმის მიზნებისადა

<sup>1</sup> ვროპული კომისია „დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით“, დასკვნა CDL-AD(2010)028, 15-16 ოქტომბერი, 2010. პუნქტები 53-56. [http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD\(2010\)028-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD(2010)028-e.asp)

საკონსტიტუციო ცელილებებით ჩამოყალიბებული მმართველობის მოდელის გათვალისწინებით. მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტთან დაკავშირებული ახალი საკონსტიტუციო რეალობა უზრუნველყოფს ერთი მხრივ, პრეზიდენტის, როგორც სახელისუფლებო ინსტიტუტებს შორის ნებისმიერი არბიტრის როლის გაზრდას და რაც მთავარია, განაპირობებს დამოუკიდებელი და პასუხისმგებელი მთავრობის ჩამოყალიბების პროცესს. ამასთან, ჩვენი ხსენებული პოზიცია გამდარებულია განხორციელებულ საკონსტიტუციო ცელილებებთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის დასკვნის ანალიზით, რომლის შემაჯამებელ ნაწილში ხაზგასმულია, რომ ”საკონსტიტუციო ცელილებები უზრუნველყოფინ რამდენიმე მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და საყურადღებო ნაბიჯებს სწორი მიმართულებით“<sup>2</sup>.

## § 7. საქართველოს მთავრობის ინსტიტუტი და 2010 წლის კონსტიტუციონური რეფორმა

### 1. შესავალი

ქართული კონსტიტუციონალიზმის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას მუდმივად წარმოადგენდა სახელმწიფო მმართველობის სისტემაში საქართველოს მთავრობის ადგილი. საქართველოს დამოუკიდებლობის ორი ათწლეულის განმავლობაში მთავრობისათვის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი და დამოუკიდებელი ინსტიტუტისათვის, ვერ მოხერხდა კონსტიტუციურად ძალის განსაზღვრული სტატუსის განსაზღვრა.

2010 წელს საქართველოში განხორციელებული საკონსტიტუ-

<sup>1</sup> ვროპული კომისია „დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით“, დასკვნა CDL-AD(2010)028, 15-16 ოქტომბერი, 2010. პუნქტები 110. [http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD\(2010\)028-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD(2010)028-e.asp)

ციო რეფორმის პროცესში, უპირველესად, დღის წესრიგში დადგა მთავრობის კონსტიტუციური სტატუსისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში მისი ადგილის განსაზღვრა, რაც, შეძლომ, მთავრობის კონსტიტუციური კონსტრუქციის სხვა საკითხების რეგლამენტაციის უმთავრესი წინაპირობა გახდა. კონსტიტუციონალიზმში აღიარებული და საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი სახელმწიფო ხელისუფლების დანწილების პრინციპის რეალიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გაჩნდა აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელ სახელისუფლებო განშტოებად ჩამოყალიბებისა და მთავრობის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობა. ამგარი აუცილებლობა ასევე განაპირობა შერეული მმართველობის ფორმის კონკული სახელმწიფოების ანალოგიურმა პრაქტიკამ<sup>1</sup> და 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციურ ცვლილებებზე ვნეციის კომისიის დასკვნაში გამოიქმულმა რეკომენდაციამ, რომლის თანახმად საქართველოს კონსტიტუცია ”მთავრობას და არა პრეზიდენტს უნდა ანიჭებდეს აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკის განხორციელების უფლებამოსილებას”<sup>2</sup>. ამ გარემოებების გაოვალისწინებით კი, 2010 წელს განხორციელებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა მთავრობის ადგილი მოიაზრა იმგვარ სისტემაში, სადაც უზრუნველყოფილია სახელისუფლებო შტოების კომპეტენციათა მკაფიო დანწილება და მათ შორის ქმედითი დაბალანსების მექანიზმების არსებობა. შესაბამისად, ხსნებული მიზნის მიღწევა შესაძლებელი გახდა მთავრობის აღმასრულებელი ხელისუფლების

<sup>1</sup> მაგალითისათვის: საფრანგეთი, რუმინეთი, ხორვატია, უკრაინა, პორტუგალია. ამ ქვეწების კონსტიტუციებით გათვალისწინებულია მთავრობის სტატუსი და მასვე ეკისრება აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების, რეალიზაციის გაღდებულება.

<sup>2</sup> კონკული კომისია „დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით“, დასკვნა CDL-AD(2004)008, 12-13 მარტი, 2004. პუნქტი 7. [http://www.venice.coe.int/docs/2004/CDL-AD\(2004\)008-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2004/CDL-AD(2004)008-e.asp)

უმაღლეს ორგანოდ ჩამოყალიბებითა და აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების პროცესში სახელმწიფოს მეთაურისაგან მისი დასტანცირებით.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ არ შევხებით საქართველოს მთავრობის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებული დღეს მოქმედი ნორმების ანალიზს, ჩვენი ინტერესის სფერო ის ძირითადი, და არა გამომდინარე საკონსტიტუციო ნოვაციებია, რომლებიც მთავრობის ინსტიტუტთან მიმართებით შემოვიდა ქართულ რეალობაში. ამასთან, ხსნებული ნოვაციების წარმოჩენა მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკონსტიტუციო ცვლილებებით ჩამოყალიბებული მმართველობის მოდელის გათვალისწინებით და საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე ვნეციის კომისიის 2010 წლის 15-16 ოქტომბრის დასკვნის შესაბამისი პუნქტების ანალიზის პარალელურად<sup>1</sup>.

## 2. მთავრობის კონსტიტუციური სტატუსი

კონსტიტუციის მოქმედ რედაქტირაში არსებული ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ ”მთავრობა უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას”, სრულადყოფილად ვერ ასახვდა მთავრობის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელი შტოს სამართლებრივ სტატუსს. საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, მთავრობა გვევლინება აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს იორგანოდ, რომელიც ”ახორციელებს ქვეწის საშინაო და საგარეო პოლიტიკას”. აღნიშნული ცვლილება უნდა განვიხილოთ პრეზიდენტის კონსტიტუციურ სტატუსთან კონტექსტში, რომელიც აღარ წარმართვს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მთავრობა გათვალისწინება პრეზიდენტის წინაშე პასუხისმგებლობისაგან და იგი მხოლოდ პარლამენტის წინაშეა ანგარიშგალდებული, რაც საკონსტიტუციო რეფორმის მიზნების შესაბამისად მთავრობის

<sup>1</sup> კონკული კომისია ”დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით“, დასკვნა CDL-AD(2010)028, 15-16 ოქტომბერი, 2010. [http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD\(2010\)028-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD(2010)028-e.asp)

მოდელური ბუნებით აიხსნება. ასევე, საკანონმდებლო ორგანოში მთავრობის სტრუქტურისა და უფლებამოსილების განმსაზღვრული კანონპროექტის წარდგენა იქცა მთავრობის ექსკლუზიურ კომპეტენციად, რაზედაც ამ უკანასკნელს აღარ ესაჭიროება პრეზიდენტის თანხმობა. კონსტიტუციის 79-ე მუხლი ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა, მკაფიოდ გამოიკვეთა პრემიერ-მინისტრის, როგორც მთავრობის თავმჯდომარის კონსტიტუციური სტატუსი, რომელიც გათავისუფლდა პრეზიდენტის, და არა პარლამენტის წინაშე პასუხისმგებლობისაგან. და რაც უძიავრესია, მთავრობის წევრების დანიშნის პროცესში პრემიერ-მინისტრი გახდა დამოუკიდებელი ფიგურა და მას აღარ ესაჭიროება პრეზიდენტის თანხმობა. აღნიშნული გარემოება ვენეციის კომისიის დასკვნით ”შესაბამება უფლებამოსილებათა დაბალანსების ახალ, შერეული ხასიათის სისტემას”<sup>1</sup>. შესაბამისად, მოყვანილი ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ კონსტიტუციურ დონეზე მიღწეულ იქნა როგორც საკონსტიტუციო რეფორმის მიზანი, ასევე ხელისუფლების ეფექტური დანაწილების წინაპირობა — კონსტიტუციურად განისაზღვრა როგორც მთავრობის სტატუსი, ასევე დამოუკიდებელ სახელისუფლებო განშტოებად და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ მისი ჩამოყალიბების საკითხი.

მთავრობის კონსტიტუციურ სტატუსთან დაკავშირებული ძირითადი საკონსტიტუციო ნოუციები თუმცისების სახით შემდგნაირად შევიძლია წარმოგადგინოთ:

- მთავრობა ხდება აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის სამინისტრო და საგარეო პოლიტიკას და ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე;
- მთავრობის თავმჯდომარეა პრემიერ-მინისტრი, რომელიც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მთავრობის სხვა წევრებს, მათ შორის ძალოვან მინისტრებს, რაც, მოქმედი კონსტიტუციით,

<sup>1</sup> ვეროპული კომისია „დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით“, დასკვნა CDL-AD(2010)028, 15-16 ოქტომბერი, 2010 პუნქტი 63. [http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD\(2010\)028-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD(2010)028-e.asp)

პრეზიდენტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენდა. პრემიერ-მინისტრის გადადგომა ან უფლებამოსილების შეწყვეტა აუტომატურად იწვევს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას.

### 3. მთავრობის ფორმირების პროცესი

საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად დაფუძნებული მმართველობის მოდელის შესაბამისად, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა კონსტიტუციის მე-80 მუხლი, რომელიც მთავრობის ფორმირების პროცედურას ქვება. ხაზგასასმელია, რომ ძირითადმა კანონმა შემოიღო კონსტიტუციურ სამართლში დამკაიღუბული მთავრობის ფორმირების ე.წ. ”საპარლამენტო გზა”, მთავრობის შემადგენლობისათვის ნდობის გამოცხადების პროცესი ცალსასად პარლამენტის ნებაზე გახდა დამოკიდებული და ამ პროცესი პრეზიდენტის მონაწილეობამ ფორმალური ხასიათი შეიძინა. მთავრობის დაკომპლექტების ამგვარი შექმნიში მიჩნეულია ”წინავადადგმულ ნაბიჯად“ ვენეციის კომისიის მხრიდან<sup>1</sup>, თუმცა, კომისია ასევე გამოთქვამს რიგ შენიშვნებს, რომლებიც, უპირველესად, ახალარჩეული პარლამენტის მიერ მთავრობის ფორმირების პროცედურის, ასევე მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში მთავრობის შემადგენლობისათვის ნდობის გამოცხადების ვალების ხანგრძლივობას უკავშირდება. ვენეციის კომისიისათვის ასევე მიუღებელია მთავრობის ერთი და იმავე შემადგენლობისათვის ნდობის გამოსაცხადებლად ხელმისაწვდელ კონჭისყრის შესაძლებლობა, რომლის ამოღებაც შეამცირებდა მთავრობის ფორმირების პროცესს ვადებს და ამ პროცესს უფრო გაძლიერვალეს გახდიდა<sup>2</sup>.

მთავრობის ფორმირების პროცესთან დაკავშირებული ძირითადი

<sup>1</sup> ვეროპული კომისია „დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით“, დასკვნა CDL-AD(2010)028, 15-16 ოქტომბერი, 2010 პუნქტი 69. [http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD\(2010\)028-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD(2010)028-e.asp)

<sup>2</sup> იქვე, პუნქტი 69-70.

საკონსტიტუციო ნოვაციები თუზისების სახით შემდგნაირად შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

- მთავრობის უფლებამოსილება მოხსნილად ითვლება ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთანავე (და არა ახალი პრეზიდენტის არჩევისას, როგორც ამას მოქმედი კონსტიტუცია ითვალისწინებს);
- ახალარჩეულ პარლამენტში პირველ ადგილზე გასული საუკუთხესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტი წარადგენს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატურას, რომელსაც ფორმალურად პრეზიდენტი წამოაყენებს; პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი თავად შეარჩევს მინისტრებს და სამთავრობო პროგრამასთან ერთად წარუდგენს პარლამენტს ნდობის მისაღებად;
- თუ მთავრობას უფლებამოსილება სხვა მიზეზით (არა ახალი პარლამენტის არჩევის გამო) შეუწყდა, პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრობის იმ კანდიდატს წარადგენს დასამტკიცებლად, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობა ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, წევრთა რაოდენობით ყველაზე დიდი ფრაქცია შესთავაზებს;
- თუ პარლამენტი ორ მცდელობაშე ვერ დამტკიცებს მთავრობას, მაშინ პრეზიდენტი დეპუტატთა ორი შეხუთების მიერ შეთავაზებულ კანდიდატურას წარადგენს დასამტკიცებლად და მხოლოდ მას შემდეგ დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარუშე არჩევნებს, თუ ვერც მესამე ცდაზე მოხერხდება მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება.

#### 4. მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება

საკონსტიტუციო ცვლილებებით სრულიად ახლებურად ჩამოყალიბდა მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა, შესაბამისად, შეიცვალა კონსტიტუციის 81-ე მუხლიც. შემოღებულ იქნა ქართული კონსტიტუციური რეალობისათვის დღემდე უცხო, უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის შექანიშხმი.

მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადებასთან დაკაյ-შირებული ძირითადი საკონსტიტუციო პროცედურები სქემატური სახით შემდევნაირად შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

- საკითხის აღმერისთვის პარლამენტს უნდა მიმართოს სიით შემადგენლობის არანაკლებ ორმა მქუთედმა, 20–25 დღეში უნდა შედგეს კონჭისყრა და უნდობლობის საკითხის აღმერას მხარი უნდა დაუჭიროს სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. თუ ეს გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, მომდევნო ექვს თვეში დაუშვებელია უნდობლობის გამოცხადების საკითხის ხელახალი ინიცირება;

• უნდობლობის საკითხის აღმერიდან 20–25 დღეში პარლამენტი კონჭს უყრის სიით შემადგენლობის არანაკლებ ორი მქუთედის მიერ დასახელებული პრემიერის კანდიდატურის პრეზიდენტისთვის წარადგენას; პრეზიდენტს უფლება აქვს 5 დღის ვადაში წამოაყენოს ან უარი თქვას პრემიერ-მინისტრობის წარდგენილი კანდიდატურის წამოყენებაზე;

• პრეზიდენტის "ვეტოს" დაძლევა პარლამენტს სიით შემადგენლობის სამი მქუთედით შეუძლია არანაკლებ 15 და არაუმციქა 20 დღეში;

• "ვეტოს" დაძლევის შემთხვევაში მაქსიმუმ 14 დღეში ხდება პრემიერ-მინისტრის წარდგენა და მისი მთავრობის დამტკიცება უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის წესით, რაც აუტომატურად ნიშნავს ახალი მთავრობის დამტკიცებასთან ერთად ძველი შემადგენლობისთვის უნდობლობის გამოცხადებას; პარლამენტის მიერ მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადებლობის შემთხვევაში, პრეზიდენტს უფლება აქვს 3 დღის ვადაში დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარუშე არჩევნები.

ვენეციის კომისიის დასკვნა განხორციელებულ საკონსტიტუციო ცვლილებებზე რიგ კრიტიკულ შენიშვნებს შეიცვას მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურასთან დაკავშირებით. შენიშვნების ქება: უნდობლობის გამოცხადების

საკითხის აღმრის თაბაზე კუნჭისყრის საჭიროებას, პრეზიდენტის ერთგვარ ”ვეტოს” უფლებას პარლამენტის მიერ წარდგენილი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის და ამ ”ვეტოს” დაძლევისთვის დადგენილ კვორუმს - პარლამენტის წევრთა 3/5-ს, ასევე უნდობლობის გამოცხადების პროცედურისათვის დადგენილი ვალების ხანგრძლივობას<sup>1</sup>. უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის მექანიზმის ქართულ საკონსტიტუციო პრაქტიკაში დამკიდრება, რაც პოლიტიკური თუ სამთავრობო კრიზისების გადაჭრის ეფექტური საშუალებაა, უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია. ოუცა, იმავდროულად, მიგვაჩნია, რომ ვერცის კომისიის ზემოხსენებული შენიშვნები უნდა გახდეს კანონმდებლის მხრიდან მსჯელობისა და უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის პროცედურის შემდგომი დახვეწის წინაპირობა, მისი კონსტრუქციის გამარტივებისა და ვადების შემცირების კუთხით.

## 5. სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორის დანიშვნა

საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა კონსტიტუციის 813 მუხლი, რომელიც სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის თანამდებობაზე დანიშვნას და მის ზოგად უფლებამოსილებებს ქება. ცვლილებების შედეგად, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი თანამდებობაზე დაინიშნება არა პრეზიდენტის, როგორც ეს დღეს მოქმედ კანონმდებლობაშია ასახული, არამედ მთავრობის მიერ და იგი უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობას საქართველოს აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში. აღნიშნული ნოუცია ვენციის კომისიის მიერ ”პოზიტიურ ცვლილებად” არის მიჩნეული<sup>2</sup>.

<sup>1</sup> კროპული კომისია ”დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით”, დასკვნა CDL-AD(2010)028, 15-16 ოქტომბერი, 2010 პუნქტი 79-80. [http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD\(2010\)028-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD(2010)028-e.asp)

<sup>2</sup> იქვე, პუნქტი 84.

## 6. დასკვნა

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებდა ხელისუფლების მოწყობის საპრეზიდენტო, ”ამერიკულ” მოდელს, რომლის ნაკლი ჩვენს პირობებში აღმოჩნდა ხელისუფლების სისისტე, პოლიტიკური კრიზისის შემთხვევაში პარლამენტის მიერ მთავრობის გადაყენებისა და პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნის შეუძლებლობა. ხსენებული მოდელის პირობებში კრიზისის დაძლევის ერთადერთ მექანიზმს წარმოადგენდა მხოლოდ ორმხრივი კომისიონის, რაც ხმირად არ იყო ეფექტური გამოსავალი. ცნობილია, რომ საპრეზიდენტო მოდელი არ ითვალისწინებს აღმასრულებელი ხელისუფლების პირველ პირთა პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, არსებობს მხოლოდ იმპიზმენტის მექანიზმი, ისიც საკმაოდ გართულებული პროცედურით, რაც ამ ერთადერთ საშუალებასაც თითქმის გამოუყენებადს ხდის. მთავრობის გუნდური პასუხისმგებლობის არარსებობის პირობებში შეუძლებელია ცალკეული მინისტრის შეცვლით მთლიანობაში მთავრობის ეფექტური ქმედითობის მიღწვევა. ამ გარემოებებმა, ასევე მთავრობის საქმიანობაზე თითქმის არარსებულმა საპარლამენტო კონტროლმა საგრძნობი დისაბალანსი გამოიწვია საქართველოში აღმასრულებელი ხელისუფლების ფართო უფლებამოსილებებსა და მის პასუხისმგებლობას შორის.

სწორედ ხსენებული ფაქტორების გამო, 2004 წელს დღის წესრიგში დადგა ხელისუფლების კონსტიტუციური რეფორმირება მისი ეფექტური ქმედითობის მიღწვევის მიზნით. თუ რატომ არ იქნა იმ პერიოდში არჩეული რესპუბლიკური მმართველობის საპარლამენტო მოდელი, რომელიც დემოკრატიულობაზე ყველაზე რთული გამოცდაა, ამ კითხვაზე უმოავრეს პასუხად მიგვაჩნია შემდეგი გარემოება: საპარლამენტო მოდელის ქმედითობა მინიმუმ პოლიტიკური კულტურისა და პარტიული სისტემის საკმაოდ მაღალ დონეს და გამოცდილებას მოითხოვა. რაც განმსაზღვრული გარემოებებია ამ მოდელის ეფექტური

სიცოცხლისუნარიანობისათვის<sup>1</sup>. შედეგად, საქართველო ამჟრიკული ტიპის საპრეზიდენტო მოდელიდან (რაც დღემდე უკომის კონსტიტუციონალიზმი ერთადერთი შემთხვევა) 2004 წლის 6 თებერვლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად გადაკეთდა შერეული, ნახევრადსაპრეზიდენტო მმართველობის მოდელზე. შერეული მმართველობის ტიპის რესპუბლიკის ერთერთი ძირითადი მახასიათებელი ბიცეფალური აღმასრულებელი ხელისუფლებაა. ამ და სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით, მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველო ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, თუმცა ხსენებულ ბიცეფალის შემთხვევაში სამთავრობო უფლებამოსილებების კონსტიტუციური არსენალი უდაბოდ პრეზიდენტის სასამარებლოდაა გადახრილი, რომელიც კონსტიტუციურად მხოლოდ სახელმწიფოს შეთაურია.

მიგვაჩნია, რომ 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად მთავრობა ჩამოყალიბდა აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელ, უმაღლეს ორგანოდ. თავის მხრივ, დამოუკიდებელი და პასუხისმგებელი მთავრობის ინსტიტუტის არსებობა, საკონსტიტუციო ცელილებებით შემოთავაზებული მმართველობის მოდელის გათვალისწინებითაც, გახდება სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპის პრაქტიკული დამკვიდრების წინაპირობა. თუმცა, აუცილებლობად ვთვლით, რომ საქართველოს მთავრობის ფორმირებისა და პოლიტიკური პასუხისმგებლობის მექანიზმების კონსტიტუციურ რეგულაციებთან დაკავშირებით ვწერის კომისიის მიერ გამოთქმული შეინშენები და მოსახრებები, შემდგომი დახვეწის მიზნით, უნდა გახდეს კანონმდებლის განხილვის საგანი.

<sup>1</sup> ქ.ერემაძე. სახელმწიფოს ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა საქართველოს მაგალითზე. კრებულში „სახელმწიფოს კონსტიტუციური ორგანიზაცია“, გვ.102.

## § 8. სასამართლო ხელისუფლება და 2010 წლის კონსტიტუციის რეაზონა

კაცობრიობის ისტორიაში სოციალური მნიშვნელობის დაცვის (კონფლიქტების) გადაწყვეტის რამდენიმე გზა არსებობს. სახელმწიფოამდელ ერთობაში დავა უპირატესად ძალის (ზოგჯერ პრიმიტიულ-ფიზიკური) გამოყენებით წყდებოდა. თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში არსებობს დავის გადაწყვეტის ორი სუბიექტი – სასამართლო და აღმასრულებელი ინსტიტუტი<sup>1</sup>. ფრანგი მკვლევარი აღვეს დე ტოკველი მათ შორის აშკარა უპირატესობას სასამართლოს ანიჭებს. „მართლმსაჯულების (ანუ სასამართლოს – ა.დ.) დიდი მიზანია სამართლის იდეით ჩაანაცვლოს მთავრობის ძალადობის იდეა, სამართლებრივი ზღვარი გაიღლოს მთავრობასა და მის მიერ ძალის შესაძლო გამოყენებას შორის“<sup>2</sup>.

საქართველოს სახელმწიფოებრივ ისტორიაში დაცვის მოგვარების სპეციალური ძალაუფლებებით თანამდებობის პირები თუ ორგანოები ძველი დროიდან არის ცნობილი. გაერთიანებულ და გვიანებულალურ საქართველოში სასამართლო ძალაუფლება უმეტესად მეფის ხელში იყო თვალისწილი. მას შეეძლო საქმე ერთპიროვნულად გადაწყვიტა, შეეძლო კოლეგიალურ ორგანოში (სააჯო ქარი, სამართალი სამეცნიერო, სახელმწიფო დარბაზი) გაერჩია. ცნობილია იმ პერიოდის სპეციალიზირებული სასამართლოებიც, — მაგალითად, „საპრავათმქებლო სასამართლი“, „მდგრანბეჭის სასამართლი“.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მამა-

<sup>1</sup> დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში პარლამენტის ზედა—ლორდთა პალატას, ბოლო დროშე სასამართლოს ფუნქციები პქონდა. ეს იშვიათი გამონაკლისია.

<sup>2</sup> ციტირებულია წიგნიდან ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე. კონსტიტუციური სამართალი. თბ., 2010, გვ.329

დამფუძნებელი სასამართლოს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ<sup>1</sup>, სასამართლოთა ერთობლიობა, ალბათ იმიტომაც, რომ სახელმწიფო კონსტრუქცია უშუალოდ ხელისუფლების დანაწილების პრინციპს არ იზიარებდა, სასამართლო ხელისუფლებად არც პრაქტიკაში და არც 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში არ ჩამოყალიბდა. თუმცა არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ დღესაც პროგრესულად მიჩნეულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს.

საქართველოს საბჭოურ ხანაში სასამართლო ძირითადად რეპრესიულ ფუნქციას ასრულებდა, ხოლო სახელმწიფოს პასუხისმგებლობას პიროვნების წინაშე, სახელმწიფოს ძირითადი უფლებებით ბოჭვის საჭიროებას ხერიოზულად არაფინ აღიქვამდა.

შეტად აქტუალური გახდა დამოუკიდებელი სასამართლოს იდეა XX საუკუნის 90-იან წლების საქართველოში. ჯერ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი პლენურის 1991 წლის დადგენილებაში, შემდეგ 1992 წლის 6 ნოემბრის კანონში “სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ” ჩნდება ხიტყვათა წყობა “სასამართლო ხელისუფლება” რამაც დასაბამი მისცა (ვინაიდან არც პირველში და არც მეორეში სიტყვათა არსის ამსახველი ნორმები არ იყო გათვალისწინებული) საზოგადოებრივ დისკუსიებს, რომლებიც 1991-1993 წლების უურნაალ “სამართლის” უურცლებზე იმართებოდა.

შოგელივე ზემოაღნიშნულმა კარგი კონცეპტუალური საფუძველი შეუქმნა 1993 წელს ახალი კონსტიტუციის შემუშავებისთვის შექმნილ საკონსტიტუციო კომისიას. ძირითადი კანონის შესაბამისი ნაწილის (თავი მქუთხ. სასამართლო ხელისუფლება) მოშადებისას გაიზიარეს საყოველთაოდ აღიარებული აზრი იმის თაობაზე, რომ სასამართლოს ერთობლიობა, ან თუნდაც სასამართლო სისტემა უყველთვის როდი იქნის სასამართლო ხელისუფლების ხარისხს.

<sup>1</sup> იმდროინდელი საკონსტიტუციო კომისიის წევრი ი. ბარათაშვილი წერდა: “სასამართლო ბურჯია სახელმწიფოს არსებობისა და ამიტომ მასი მოწყობა უპირველესი საკითხია”. ციტატის წყაროა— მალხაზ მაცაბერიძე. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია. თბ., 1996, გვ. 90.

ისინი შეიძენენ სასამართლო ხელისუფლების თვისებებსა და ხარისხს, როდესაც:

ა) ეს სისტემა სახელმწიფო ხელისუფლების ავტონომიური, ორგანიზაციულად დამოუკიდებელი განშტოება გახდა;

ბ) მას ეწენება შესაძლებლობა და ნება არ დაუშვას რომელიმე განშტოების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაცია.

ვფიქრობ 1995 წელს მიღებული კონსტიტუციის სასამართლოს შესახებ არსებული რეგულაციები პასუხობენ ამ სამიერ მოთხოვნას. სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ სხვა განშტოებებიდან ორგანიზაციულად ცალკე არსებული საერთო სასამართლოები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო<sup>1</sup>, რომლებიც თვის ფუნქციებს განსაკუთრებული პროცესუალური ფორმით ახორციელებდნენ, ისინი უფლებამოსილი არიან საკონსტიტუციო კონტროლის (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ) და აღმინისტრაციული იუსტიციის (საერთო სასამართლოების მიერ) ფორმატში დაიცვან ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები და იმპიჩენტისა და სხვა პროცედურების გამოყენებით აღკვეთონ ხელისუფლების მიტაცების (უზურპაციის) მცდელობები. 1995 წელს მიღებული კონსტიტუციის მქუთე თავში (სასამართლო ხელისუფლება) შემდეგი ცვლილებები შევიდა:

— საქმეთა გარკვეული კატეგორიების განხილვა ნაფიცი მსაჯულების მიერ<sup>2</sup> (მუხლი 82)

— მოსამართლეთა ასაკობრივი ცენტი 3-იდან 28-მდე (საერთო სასამართლოს მოსამართლეთავის), 35-დან 30-მდე (საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთათვის) შემცირდა. (მუხლი 86 და 88)

— იუსტიციის საბჭო გახდა კონსტიტუციური ორგანო (მუხლი 86)

1 2008 წლამდე პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების დაწესებულების სტატუსით სარგებლობდა.

2 ცვლილება შევიდა 2004 წელს, ნორმა ამოქმედდა 2010 წლის დეკემბერში.

—მთავრობას მიენიჭა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება (მუხლი 89)

—იმ ნორმატიულ აქტებს, რომლის კონსტიტუციურობის დადგენის უფლება გააჩნია საკონსტიტუციო სასამართლოს დაქმატა კონსტიტუციური შეთანხმება (მუხლი 89)

ასეთი სახით არსებობდა საქართველოს კონსტიტუციის მქონე თავი (სასამართლო ხელისუფლება), როდესაც კონსტიტუციის გადასინჯვის მიზნით 2009 წლის 8 ივნისს შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია.

გადასინჯვის კონცეპტუალური საფუძვლის განსაზღვრისას კომისიის წევრთა უმრავლესობაში არსებობდა მოსაზრება, რომლის მიხედვით სასამართლო ხელისუფლების ნაწილში კონსტიტუციური ცვლილებების შეტანა არ არის საჭირო. კომისიამ ბოლომდე დაიცვა ეს პოზიცია, თუმცა რამოდენიმე, ჩემი აზრით ინსტიტუციურთან დაახლოებული ცვლილება განხორციელდა, პირველ რიგში ეს ქება ღღვენდელ რეგულაციებს, რომელთა მიხედვით საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტები, თუ ისინი ქრისტიანული მიზანის საქართველოს კონსტიტუციას ან კანონებს. ჩათვალა რა,

რომ ამ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი იჭრება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (როდესაც აქტის არაკონსტიტუციურობის მოტივით აუქმებს მას) და საერთო სასამართლოების კომპეტენციაში (როდესაც აუქმებს აქტს მისი კანონსაწინააღმდეგო ხასიათის გამო), სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ და შემდგე საქართველოს პარლამენტმა ამის უფლებამოსილება საქართველოს პრეზიდენტს არ დაუტოვა!

აგრეთვე მნიშვნელოვან ნოუციად არის მიჩნეული კონსტიტუციის 86-ე მუხლის ახალი რედაქციით დადგენილი

<sup>1</sup> ამოქმედდება 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მიმენტიდან.

მოსამართლეთა თანამდებობაზე უფადოთ დანიშვნის ინსტიტუტი<sup>1</sup>. საკონსტიტუციო კომისიის წევრთა თითქმის სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა ამ ინსტიტუტს, მაგრამ ზოგმა სადაოდ, ზოგმა კი შეცდომად მიიჩნია ის, რომ უფადოთ დანიშვნა არ შექმნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრებს. ხოლო ახლად დასანიშნი მოსამართლები დროებით, განსაზღვრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 3 წლისა დაინიშნებიან.<sup>2</sup> დადგინდა, რომ საერთო სასამართლოების უფლებამოსილება, ორგანიზაცია, საქმიანობისა და მოსამართლეთა ვადამდე ადრე შეწყვეტის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

ასეთი ცვლილებები შევიდა საქართველოს კონსტიტუციის იმ ნაწილში, რომელიც სასამართლო ხელისუფლებას ქება, 2010 წლის 15 ოქტომბრის საქართველოს კონსტიტუციური კანონის საფუძველზე.

#### § 9. აღგილობრივი თვითმმართველობის ახლებარი გააგრენა 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციი

##### კანონის მიხედვით

ადგილობრივი, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ მუნიციპალური, თვითმმართველობა საყოფალთაოდ აღიარებული და გარანტირებული, მოსახლეობის თვითორგანიზაციასთან დაკავშირებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა გამორჩეული სისტემაა.

თვითმმართველობის რეალიზაციას ფართო საკონსტიტუციურ რეგლამენტაცია სჭირდება. ვეროპულ სიერცეში მოქმედებს ვეროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, რომელიც უწინდესობრივი დოკუმენტია

<sup>1</sup> ამოქმედდება 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მიმენტიდან.

<sup>2</sup> ვერცის კომისიაც უარყოფითად აფასებს მოსამართლის რეალურად გამოსაცდელი ვადით დანიშვნას.

და საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულების დონეზე წარმოაჩენს ამ ინსტიტუტის მნიშვნელობასა და საჭიროებას თითოეული ქვეყნის ცხოვრებაში. ის განსაზღვრავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპი აღიარებულ უნდა იქნეს შიდა კანონმდებლობის, შესაძლებლობის შემთხვევაში კი კონსტიტუციურ დონეზე. საქართველო ესწრავების ეროვნული ოჯახის წევრობას, რაც აუცილებლად უნდა გამოიხატებოდეს შიდა სამართლებრივი სისტემის ევროპულ სისტემასთან პარმონიზაციაში. ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, რომლებიც შეირთებულნი არიან ამ ქარტიას, ითვალისწინებენ, რომ თვითმმართველობა დემოკრატიული რეჟიმის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია.

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლების დამკვიდრებას არც თუ ისე დიდი და, აღბათ, არც თუ წარმატებული კონსტიტუციური ისტორია გააჩნია.

ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში განისაზღვრება, როგორც თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქების უფლება და შესაძლებლობა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განაგონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად.

კონსტიტუციაში ჩამოყალიბდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები, მისი არჩევითობა, თანასწორუფლებიანობა, საფინანსო და ქონებრივ-რესურსული უზრუნველყოფა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან იერარქიული სუბორდინაციის დაუშვებლობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ანგარიშვალდებული არიან საკრებულოების წინაშე. თვითმმართველი ერთეულის შექმნისა და გაუქმების, აგრეთვე ადმინისტრაციული საზღვრების გადასინჯვის წესი განისაზღვრება კანონით თვითმმართველი ერთეულის გაუქმებას ან ადმინისტრაციული

საზღვრების გადასინჯვას წინ უნდა უსწრებდეს თვითმმართველ ერთეულთან კონსულტაციები. ადგილობრივი თვითმმართველობის უვრობული ქარტია ითვალისწინებს, თვითმმართველი ერთეულის საზროვნების გადასინჯვისას, თვითმმართველ ერთეულთან წინასწარი კონსულტაციის აუცილებლობას.

ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები გამიჯნული უნდა იყოს სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილებებისაგან, რათა იერარქიული დაქვემდებარებასა და თვითმმართველობის არსის შეზღუდვასთან საქე არ გვქონდეს. კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით, თვითმმართველობას გაჩნია ორი სახის უფლებამოსილებები: საკუთარი და დელგირებული. კანონით დადგენილი საკუთარი უფლებამოსილებები ექსკლუზიურია, რაც ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ თვითმმართველობისთვის კანონით გადაცემული უფლებამოსილებების ფარგლებში აქტების მიღების უფლება მხოლოდ მას აქვს, ცენტრალური ხელისუფლება ამ საკითხებს ვერ მოაწესრიგებს. თვითმმართველი ერთეულის ორგანოების მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები შესასრულებლად საფალდებულოა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

დელგირებულ უფლებამოსილებებს, რომლებიც სახელმწიფოსან კანონით ან ხელშეკრულებით გადაეცემა თვითმმართველობას უნდა ითვალისწინებდეს, ადგილობრივი თვითმმართველობისთვის შესაბამისი მატერიალური რესურსების გადაცემასაც. თვითმმართველმა ერთეულმა უნდა მიიღოს დამატებითი თანხები ნებისმიერი დამატებითი უფლებამოსილებების არსებობისას. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისთვის საჭირო შესაბამისი სამართლებრივი და მატერიალურ-ფინანსური პირობების შექმნას.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება ფინანსური გარანტიების გარეშე შეუძლებელი აღმოჩნდება. შესაბამისად კონსტიტუცია ითვალისწინებს, იმას, რომ ადგილობრივ თვით-

შმართველობას გააჩნდეს საკუთარი ქონება და ფინანსები.

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო ზედამხედველობას. ზედამხედველობა შეიძლება იყოს ორი სახის: თვითმმართველობისაქტების სამართლებრივი შემოწმება და აქტების შემოწმება მიზანშეწონილობის მოტივით. სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტები საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და დელგირებული უფლებამოსილებების ჯეროვნად განხორციელება. სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება მისი მიზნების პროპორციულად.

კონსტიტუციის ახალი რედაქციის თანახმად იზრდება, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები. თვითმართველი ერთულის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკურებულოს, უფლება აქვს სარჩელით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვოს საქართველოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის დადგენა კონსტიტუციის იმ თავით განსაზღვრულ დებულებებთან მიმართებით, რომელიც შექება ადგილობრივ თვითმმართველობას.

#### § 10. საქართველოს პრესტიტუციის გადასინჯვის პერიოდი 2010 წლის 15 ოქტომბრის პრესტიტუციური კანონის მიხედვით

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ თანამდროვე სახელმწიფოს სტაბილური განვითარება ბევრად არის განპირობებული კონსტიტუციის ქმედითობითა და საზოგადოებრივი მნიშვნელობით, რაც თავის მხრივ სხვა ფაქტორებთან ერთად ამ კონსტიტუციის მდგრადობასა და მის გადასინჯვის წესს უკავშირდება. თუ ამ კუთხით დავაკვირდებით დამოუკიდებელი საქართველოს ახალ და

უახლეს ისტორიას, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ კრიტიკულ შეფასებას ვერ ავცდებით. სულ რაღაც 20 წლის განმავლობაში (1990-2010წ) საქართველოში მოქმედებდა 3 (1978, 1921, 1995 წლების) კონსტიტუცია, სახელმწიფო საბჭოს დებულება, „მცირე კონსტიტუციად“ წოდებული 1992 წლის 6 ნოემბრის კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“. კოველოვე დასახელებული აქტი ხშირად იცვლებოდა<sup>1</sup>, რაც საზოგადოების კრიტიკულ შეფასებებს იმსახურებდა.

კოველოვე ამის გათვალისწინებით 2009 წელს შექმნილმა საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისამ გადაწყვიტა ახლებურად ჩამოყალიბებინა კონსტიტუციის გადასინჯვის წესი.

განვითარებული დემოკრატიის მოწინავე ქვეწიებში კონსტიტუციურ კანონმდებლობაზე და სახელმწიფოებრივ პრაქტიკაზე დაკვირვება გვეუბნება, რომ კონსტიტუცია მეტნაკლებად უნდა იყოს დაცული პოლიტიკური კონიუნქტურისაგან, ხელისუფლებაში მოსულ კოველოვე ახალ უმრავლესობას, თუნდაც ზეკვალიფიციურს (2/3, 3/5), არ უნდა პქონდეს ლეგალური, ანუ არსებული კონსტიტუციური პროცედურების გამოყენებით თავის პოლიტიკურ ინტერესებს თუ გემოგნებას მოარგოს ქვეწის ძირითადი კანონი.

გადასინჯვის წესების ახლებურად ჩამოყალიბების ორი გარიანტი არსებობდა. პირველი მათგანი უფრო „რბილზ წესების შემოღებას გულისხმობს. ამის თაობაზე, ვიხელმძღვანელეთ რა პრიოტ. ანდრაშ შაიოს შთაგონებით, რომლის მიხედვით „თუკი კონსტიტუციის შესწორება ისევე შეიძლება როგორც ნებისმიერი სხვა კანონისა., მაშინ სამართლებრივ სისტემაში კონსტიტუციის უზენაესობის ვერავითარი გარანტია ვერ იარსებებს“<sup>2</sup>, იმთავითვე უარი ვთქვით ამ ვარიანტზე. მეორე ვარიანტი

<sup>1</sup> 24 კონსტიტუციური კანონის საფუძველზე 1995 წელს მიღებულ კონსტიტუციის შესრულების 2010 წლის 15 ოქტომბრამდე 90-ზე მეტი ცვლილება-დამატება შევიდა.

<sup>2</sup> იხ. ანდრაშ შაიო. ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესახალი. თბ. 2003, გვ.49)

„ხისტი კონსტიტუციის იდეას უკავშირდება, თუმცა აქ სხვა გაფრთხილებაა - კონსტიტუციის ზედმეტმა ხისტი შეიძლება ბიძგი მისცეს კონსტიტუციის იგნორირებას, მისი გვერდის ავლით ურთიერთობათა რეგულირებას, ან, რაც უფრო მტკიცნეული იქნება საზოგადოებისათვის - კონსტიტუციური გადატრიალებისაცნ, ანუ კონსტიტუციის დაუფარავ გაუქმებას. გარდა ამისა არსებობს იმის რისკი, რომ კონსტიტუციის ნორმათა „უკვდავობა“ გამოიწვევს მის ჩამორჩენას ობიექტურად საჭირო დინამიკური საზოგადოებრივი განვითარებისაგან.“

საბოლოოდ ვიხელმძღვანელეთ იმ მოსაზრებით, რომ ახალი რეგულაციები არსებულთან შედარებით უფრო ხისტი უნდა ყოფილიყო, რაც ხელს შეუწყობს კონსტიტუციური სტაბილურობის უფრო მაღალ დონეს. იმავდროულად ვიზრუნეთ ამ პროცესში ხელისუფლების წყაროს - ხალხის ჩართულობაზე და იმაზე, რომ გადასინჯვის ახალმა რეგულაციებმა არ შეუქმნას დაბრკოლებები ტრანზიციის გზაზე მყოფ ახალგაზრდა ქართულ დემოკრატიას.

ამ მოსაზრებათა გათვალისწინებით კონსტიტუციის 102-ე შუხლის<sup>1</sup> ახალი რედაქციის მიხედვით კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის პარლამენტში შეტანის უკლება საქართველოს პრეზიდენტს აღარ უქნება (ასეთებად რჩებიან პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე ნეტი და არანაკლებ 200 000 ამომრჩეველი), ხოლო უფლებამოსილი სუბიექტის მიერ შეტანილი კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას შხარს დაუჭირს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა.

<sup>1</sup> ამოქმედდება 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.